# დროშა

ფასი 20 კაპ.

№ 3

პარასკევი. 15 იანვარი 1926 წ.

გაზეთ „კომუნისტის" დამატება

## სრულიად საკავშირო კომპარტიის (ბ) ყრილობის გამო



ა.-კ. დელეგაცია ამხ. სტალინთან ერთად.

✖ ამხ. სტალინი.

# დროშა

სპეციალური დამატება




სტალინი

# სრულიად საკავშირო კომპარტიის (ბ) ყრილობის გამო.




საქართველოს დელეგაცია ამხ. I. სტალინთან, II. ბუხარინთან და III. ენუქიძესთან ერთად.



ა | კავკასიის დელეგატთა ერთი ჯგუფი.

კვირა 10 იანვარი 1926 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

| ხელის მოწერა | განცხადების ფასი: |
|---|---|
| 1 წლით . . . 5 მ. 50 კ. | „დროშის" მთ. გვერდი 200 მ. |
| 6 თვით . . . 3 მ. — | 1/2 გვერდი . . . 120 მ. |
| 3 „ . . . 1 მ. 70 კ. | 1/4 „ . . . . . 65 მ. |
| ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. | |

მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპ. „კომუნისტის" რედაქცია.

№ 3 გაზეთ „კომუნისტის"—ორკვირეული სამხატვრო, სალიტერატურო დამატება № 3



შიო არაგვისპირელი გარდ. 2 იანვარს.

## შიო არაგვისპირელი
### (დედაბრიშვილი)
#### (მოკლე ბიოგრაფიული ცნობები)

შიო არაგვისპირელი დაიბადა 1867 წლის დეკემბრის 4. სოფ. ჭარისხევში (ანანურის ქვემოთ დუშეთის მაზრა). პატარა შიო 4—5 წლისა იქნებოდა როცა მამა მისი, ზაქარია მღვდელი, სოფ. წილკანში (დუშეთის მაზრაშივე) გადმოიყვანეს. ჭარისხევიდან გადმოსვლა შიოს იმ ნიშნით აგონდებოდა, რომ ურემზე რომ ვისხედით, მამალი და კატა მე მაწვალდაო. შვიდისა თუ რვისა იქნებოდა, როცა თავის უფროსი ძმა გიორგისთან ერთად დუშეთში მიაბარეს სამრევლო სკოლაში. აქ სამი წლის განმავლობაში სწავლობდა. ამასობაში მამაც გადაიცვალა და ორივე ძმა დედამ თბილისში ჩამოიყვანა და სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში მიაბარა.

სასწავლებელში ორივე ძმა, როგორც ობლები, სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს მთელი ოთხი წლის განმავლობაში კარგად სწავლობდა და 1883 წელს, 16 წლის შიომ სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში სახელმწიფო ხარჯით იზრდებოდა ვიდრე 6 კლასში გადავიდოდა მე-VI კლასში კი „მავნე მიმართულებისათვის" სემინარიის მთავრობამ სახელმწიფო ხარჯი მოუხსნა და შიო იძულებული იყო დიდის წვალებით ეცხოვრნა და ისე დაემთავრებინა სწავლა. 1889 წელს სემინარია დაამთავრა. სემინარიის სტუდენტის ხარისხით უნდოდა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, მაგრამ ხელმოკლეობა ხელს უშლიდა და იძულებული გახდა რკინის-გზაზე შესულიყო სამსახურში. სამსახურში მიიღეს „საპასპორტო ნაწილის" გამგედ და თვეში 25 მანეთს იღებდა. მაშინ სემინარიელებს მხოლოდ ვარშავის სახეითლო ინსტიტუტში-ღა იღებდნენ. შიომაც გადაწყვიტა იქ შესვლა და მეგობრების დახმარებით 1890 წლის ენკენისთვეში კიდეც გაუდგა ვარშავისაკენ გზას.

ვარშავის სახეითლო ინსტიტუტში ყოფნის დროს ორი გარემოებაა შიოს ცხოვრებაში აღსანიშნავი: ერთი ისა, რომ მეორე კურსზე რომ იყო, ის ფილტვების ანთებით ავად გახდა. ანთებას კი გადაურჩა, მაგრამ დაუტოვა ქრონიკული ანთება ფილტვებისა და საშინელი ხველება რომელმაც შემდეგში გამოიწვია გულის სიგანივრე. და ამ ორივე ავადმყოფობამ საფლავში ჩაიყვანა ამ წ. შიო. მეორე იყო —ინსტიტუტის გათავების რამოდენიმე კვირის წინათ ჟანდარმთა სამმართველომ „საქართველოს განთავისუფლების ლიგაში" მონაწილეობისათვის. ლიგის წესდება ვარშავაში მყოფ ქართველმა სტუდენტებმა 1888 გასულს შეადგინეს და შიო მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა მის შედგენაში. ვარშავის ციხეში ყოფნამ საშინლად იმოქმედა შიოზე, ნერვები აეშალა და ჟანდარმის ცემისაგან კინაღამ ჩამოაღრჩვეს კიდეცა. სულ იმ საქმისათვის ციხეში ჯერ (ვარშავასა და მერე ქუთაისში) 6 თვე გაატარა.

მწერლობა შიომ დაიწყო კომედიებით. სემინარიის გათავებისას დაწერა ორი კომედია. სათაურები არც ერთისა მაგონდება და არც მეორესი. ერთის შინაარსი-კი იყო სასაცილოდ აგდება მაშინ დიდს მოდაში მყოფ ტურნირებისა, მაშინდელი ქალები, რომ ატარებდენ. ეს პიესა ვასო აბაშიძეს გადაეცა. ვასომ არ ვიცი წაიკითხა თუ არა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ არც სცენაზე დადგმულა და თვით პიესაც დაიკარგა.

შიოს სალიტერატურო ასპარეზზედ გამოსვლის ხანად უნდა ჩაითვალოს 1890 წ., როცა შიომ „ჯეჯილში" დაბეჭდა თავისი პირველი მოთხრობა „ჩემი შვინდა". ამას მოჰყვა საახალწლო მოთხრობა, „ივერიის" 1891 წლის 1 ნოემბერში დაბეჭდილი. ჟურნალი „მოამბის" გამოსვლამდე მისი მოთხრობები იბეჭდებოდა „ივერიაში", მერე-კი „მოამბეში" და „სახალხო ფურცელში".

წერა-კითხვის საზოგადოებამ ოთხ წიგნად დაბეჭდა შიოს ნაწერები.

დაუბეჭდავად დარჩენილი აქვს მოზრდილი მოთხრობა „მერანი".

გარდაიცვალა შიო ა.-წ. იანვრის 2, დილის 10 საათზე, ყველასათვის სრულებით მოულოდნელად.

თ. ს.

## შიო არაგვისპირელის დაუმთავრებელი მოთხრობა *)

„ზუუუ!" დაჰზუვის, დაჰკვნესის შემოდგომის სასტიკი ქარი ტიტიკოს ოთახს და თითქოს სარკმელის და კარების ჩარჩოებს არაკრაკებს, თითქოს ოთახში შემობას სთხოვსო, მაგრამ ტიტიკოს ქარის გმინვა არ ესმის. ის ტახტის გვერდით, ცალ მუხლზედ დაჩოქილი გაშტერებით დასცქერის კატოს მიმქრალ სახეს, რომელიც სანთლის მკრთალ სინათლეზედ ოდნავ მოციმციმებს და ირხევა...

— ბაბო!.. გულ-ჩაწყვეტით ჩასძახა ტიტიკომ და გარს მკლავები შემოჰხვია, რის შემდეგაც მაგრად, მაგრად მიიზიდა თავისკენ და ჩაეკონა, მაგრამ სამაგიერო ვერ მიიღო. ბაბოს აგერ ერთი საათიც არის, რაც სული განუტევა.

— ღმერთო!...—წამოიძახა ტიტიკომ, როდესაც თავი მაღლა აიღო და ისევ ისე გაშტერებით ჩააკვირდა...

„ნუ, თუ ისევ ძველი ცხოვრება უნდა დამიბრუნდეს?!" გაიფიქრა ტიტიკომ და თვალწინ წარმოუდგა ის დრო, ვიდრემდის ბაბოს ცოლად შეირთავდა, ღმერთო, რა ნაირად იტანჯებოდა მაშინ, რა ნაირად ობლად გრძნობდა თავის თავს!.. დადიოდა სამსახურში, მოდიოდა სახლში, მაგრამ ყველგან ილრჩვებოდა, სული ეგუბებოდა და სიკვდილს ნატრობდა. ყველასგან აბუჩად იყო აგდებული: ერთი სიტყვა საალერსო არა ესმოდა; თანაგრძნობით ხმა არავის გაეცა, არ იყო ნასწავლი, არ იყო მალხაზი, ჭკუა მახვილი, რომ ამით მაინც დაემსახურებინა ყურადღება თავის ამხანაგებისა ან უფროსისა. არც ერთი ამ თვისებათაგანი ტიტიკოს არ ეკუთვნოდა. მართალია, ის საზოთ სხვას არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ იმისი მაინც არა მოსწონდათ რა. როდესაც სამსახურში მივიდოდა, იმისი ამხანაგები სიცილით ეგებებოდნენ და ხან რაზედ აიგდებდნენ მასხარად და ხან რაზედ. სწყინდა იმას, მაგრამ ხმას არ იღებდა და ისე ხმის ამოუღებლივ ითმენდა. ან კი რით ეწინააღმდეგებოდა?! ხმას გასცემდა? იმის ხმის გაცემა უფრო უარეს დაცინვას გამოიწვევდა ხოლმე და ამისათვის იყო გარუჩებული და თავის საქმეს აკეთებდა. ვერც უფროსის ყურადღება დაიმსახურა, რადგანაც არ იყო ის ფლიდი და ლაქუცი. ის თუმცა გულმოდგინეთ ასრულებდა თავის საქმეს, მაგრამ ეს არ შველოდა იმას. უფროსის თვალში ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ვინც ამასთან დაიწყო სამსახური, ან ამაზედ გვიან, ყველას, ან ჯამაგირი მოუმატეს, ან კიდევ უკეთესი თანამდებობა მისცეს. ამას კი არავითარი ცვლილება არ ეღირსებია, გადამწყვეტლად იყო. ბევრჯერ დააპირა გასვლა და სხვა რაიმე დაწესებულებაში შესვლა, მაგრამ, განა სხვა დაწესებულებაში შესვლა ადვილი იყო? კარგად ახსოვდა, რანაირად იტანჯა ამ ადგილის შოვნაზედ. გინდა ადვილიც ყოფილიყოს შესვლა სხვა დაწესებულებებში, განა იქ კი ამათთანა არსებანი არ იქმნებოდნენ? ვინ იყო იმის თავდები, რომ იქ უფრო უარეს დაცინვას არ იხილებდა და არ იგრძნობდა? გამოსულიყო და მერე სად წავიდოდა? არ ჰყვანდა, არც თვისი და არც ტომი: არავინა ჰყავდა გულის შემატკივარი. არ ახსოვს, ჯერ ვისმე ალერსიანის სიტყვით მიემართოს იმისთვის, და, აბა თავს ვინ შეიტკივებდა იმისთვის?!

თუ სამსახურის დროს ასეთ მდგომარეობაში იყო და ითმენდა ყოველივე დაცინვას და ითუთქებოდა, არც სამსახურის შემდეგ ეყარა კეთილი. ის დაბრუნდებოდა შინ და მარტოობა სულს უხუთავდა, ახრჩობდა. გამოვიდოდა კანცელარიიდან და რამდენიმე წუთს ისე უნდა მდგარიყო და ეფიქრნა, თავის ოჯახისაკენ წასულიყო, თუ არა. „რისთვის წავიდეო", იტყოდა ხოლმე და თვალწინ წარმოუდგებოდა მოწყენილი კედლები და გასწევდა რესტორანისაკენ სასადილოდ, სად მრავალთაგანი-მრავალნი იყვნენ: სადაც სხვები კიდეც იცინოდნენ, ხარხარობდნენ; სადაც ერთი მეორეს მეგობრულად ელაპარაკებოდნენ. ის კი აქაც მარტოკა იყო.

აქაც სული ეგუბებოდა.

„ღმერთო,—ხშირად წამოიძახებდა ხოლმე ტიტიკო:—რისთვის დამბადეო!" მაგრამ ღმერთი ამ კითხვას არ უხსნიდა და თითონ კიდევ აგერ ოცდახუთის წლისა შესრულდა და ჯერ კიდევ ვერ გაეგო.

ტიტიკომ კიდევაც გადასწყვიტა, რომ ეს ამ ქვეყნად მეტი იყო და თითქმის სულ უგრძნობლად გარდაიქმნა, რომ ერთ დღეს, როდესაც სამსახურიდგან გაბრუნდა და თავისს ოთახს მიუახლოვდა, წინ შეჰხვდა დარო, რომელმაც სევდიანი თვალები ტიტიკოს შეაჩერა და ნაღვლიანადვე გაუღიმა. დარიკომ გაიარა, ხოლო ტიტიკო ალარ იძროდა ერთ ადგილიდგან თვალს ალარ აშორებდა მიმავალ დაროს. დარომ ქუჩას გადაუხვია და მხოლოდ მაშინ

---

*) ეს უსათაურო და დაუმთავრებელი მოთხრობა აღმოჩნდა თვით სახოკიას ქაღალდებში მისდამი მოწერილ წერილებს შორის. სახოკიას აზრით ეს დაუმთავრებელი ნაწყვეტი 1892—93 წლებს უნდა ეკუთვნოდეს.

ჩალუნა თავი ტიტიკომ და მთვრალივით შინ მიფარფატდა!..

„ნუ თუ,—ფიქრობდა ტიტიკო, როდესაც შევიდა ოთახში და ტახტზედ გულაღმა გადაწვა.“. „ის მიმიხვდა ჩემს ტანჯვას და ამისათვის ასე თანაგრძნობით შემომხედა?! მაგრამ არა!“. მწარედ გაიღიმა და ისევ ფეხზედ წამოდგა. რამდენჯერ შეხვედრია დაროს გზაში, რამდენჯერ სარკმლიდანაც დაუნახავს, მაგრამ იმას არც კი შეუხედნია. დარო ხომ იმის პირდაპირ სახლში იდგა და ხშირად დადიოდა ხალხიც.

„არა!.. იმანაც დამცინა!“.. მწარედ ჩაიქნია ხელი და ტანში სულ მოიშალა. „იმას რაღა დაუშავე?! იმას“.. ტიტიკოს გული ყელში მიებჯინა და თვალები წყლით აევსო... „განა სხვას კი ვუშავებ რასმე, რომ დამცინიან?! დედა, იმანაც მე დამცინის!“.. გულსაწყვეტით წარმოსთქვა და გარედ გავიდა...

# გ რ ი გ ა ლ ი

I

ნიაღვარ—თქეშით
და გრიგალი გამძაფრებული
ცოფიან ქვეყანას დაეტაკა
თავ გამეტებით
და დორთიხლების,
ნარინჯების
ხშირი კრებული
ილეწებოდა ელმეთებით
და ტალღებით.
მოდის, გრიგალი,
ვინ დახვდება
წინ მოდარაჯედ?
მოხეთქილ ძალას
ზეგემოტი
ვინ დაიყენებს?
ჩხირის ღობეში
ვით გაუძლოს
ღოლიადის მელოებს,
ლოლის მანტია
რად მარცხვლებმა
შავი დარაჯით?
პასუხს ვინ მეტყვის,
ვის სწვდება
ნიაღვარ—თქეშში,
მოდის გრიგალი
კუდიანი და გამხეცილი,
ნუგეშს თხოულობს?
რა დროს არის
ახლა ნუგეშში,
უბედურება
ნიშან-გრძნობით
უნდა გეხილა!
გულ-გახელება
გულის და შხამში
უხვად იწვება.
გრუგვინავს გრიგალი
მკერდ ფიქალი
და დორბლიანი,
მისი მოვარდნა
თითქოს კიდეც
იყო გვიანი,
მაგრამ ძველ ქვეყნის
აოხრება და დამიწება—
მაინც მოხდება
მას ყვირავის
ვერ გადაარჩენს,
დანით ყელს
ისე გამოლადრენ
ხელით ბედქორით,
რომ სისხლის ღვარი
სულ შეღებავს
ატლასს და ფარჩებს,
მოდის გრიგალი
და ჩაღდება
ბრძოლა შედგარი.

II

ქუჩა—მრისხანე,
ქუჩა—გერი,
ქუჩა—ჯამბაზი,
გატენილია მეამბოხე
ფიდრეკა ხალხით,
სასახლეს ახრჩობს
თავისივე ბოლში და ბრაზი,
ტანიდ სერენადით
ბედ-დაკარგულს
ვეღარ მოალხენ!
ზათქით, ღრიალით
ასეული მისდევს ასეულს,
ქვაფენილებზე ილეწება
წყება პირველი,
მაგრამ შეტევა
ჯადოქარი, ქართ-სულოვანი
არის უხეში
მოუდრეკი და საკვირველი.
ზრზნი არ სცილდება
თავის შეულდს
და მისდევს უკან,
ზანზარებს კოშკი,
და ქალაქიც შესდგა ყირაზე,
მეფის ჯარები
გატყდა წელში
და დაიფლეკა.
შერყეულ სიმაგრის
კარი ძლიერს და გადაირაზეს.
მაგრამ ზრზნის
მღელვარის, აჯანყებულს
რა დაიყურეს.
მოდის ფეხმარდი
და მის მახვილს
მჭრელს და ალესილს—
სწყურია სისხლით
დასისხლის ელვარე ტუჩი,
რომ ამით მოისკე
ბულის ჯავრის
მწოვრის ალერსი.
გუშინ, რომ სიმშილს
მოელენა—
დღეს მაძღარია.
გუშინ სვეთას,
რომ დადელა
დღეს არ სწვდეს შხამი-
ო, ბედის წერა!
საქმე შენი საოცარია,
საოცარია
თვით ეს ჯადო,
დღეც და ღამეც!

III

უკვე ლამეა, არე-მარე
სკდება ზმაურით,
ტირილი, კვნესა,
და იოხ-კუთხიდ
მხოლოდ ყიჟინა,
ბობოქარ ქალაქს
უცლის თავზე
ცეცხლის ამური,
ალტკინებული
გულის ჯავრით,
ცოფით და კინით.
გმინვა საზარი
და საკუთარ სხეულის ბლეჯა,
სისხლის წვეთვილი,
გაგიჟება და გახელება,
გრიგალის ცეცხლი
და ქარის ამტყდელება—
იმედს უღვიძებს
გამარჯვების
ღარიბს და ბეჩავს.
სად არის ახლა
უკანონო, ცხოვრების ჯერი?
კანონიერ ძეს,
რა მოუხდა, რა დაემართა?..
დღეს მათ
ბრძოლა აქეთ
სასახლეში შესახვეულ
კართან...
და თუ ცხოვრების
ჯერმა მტერი
მოიგერია
და თუ სინათლემ
სძლია ღამის
სიბნელე შავი,—
და გულს დაასო
ლომად მახვილი
მოუქნევია,
შრომის სამხედრ
მწამს იქნება
ყველასთვის ლოი.
მაგრამ ვინ იცის
გამარჯვებამ,
ვის უქროს ხმალი?
ყვავილოვნის ზომა
შემოიხვევა
და მხოლოდ ბედია,
მას ეს ცხოვრებაც
თავის ყადრზე გაუქელდია
და ისიც უკან
მისდევს, როგორც
მეძავი ქალი!..

IV

არ წყდება ზათქი.
ქუჩა კისერს
კუშტად იღრეცს.
ცოფის გრიგალი
დათარეშობს დაუდეგარი,
საბარიკადო სიმღერებიც
უკვე იმღერეს,
და ახლა ისმის
ბრბოს გულხარში
ხმები მჭექარე.
აგერ ტრიბუნა!
ორატორი ხმა მაღლა
ყვირის:
თქვენ, მეგობრებო,
გაწამებდათ
ძველი ცხოვრება,
თვითეულ თქვენგანს
ავი ყოფა გემახსოვრებათ,
გემახსოვრებათ გესლს და შხამში
ნალესი პირი!
მაგრამ დრო დგება,
თვით ქარსმა
გაიპო გული,
ზესკნელმა
ცეცხლი გადმოჰყარა,
ქვესკნელმა—წყალი
და წარღვნის ტალღა,
მღელვარებით აქაფებული:
დღეს ჩვენს
ძარღვებში სცემს
მძლეობით მწველი და ცხარე,
სისხლი—სისხლისა ჰბანს,
მაგრამ ცოდვას
ვერ გაჰბანს წყალი,
და ქვეყნის ცოდვა,
ბოროტება
ისე დიდია,
თუ არ დაენთო
მოგუზგუზე
ხანძარის ალი,
თუ არ მოეჭრით
ხორცმეტს ტანს,
რომ ტყვილა ჰკიდია,—
ისე ჩვენს ახალ
ქვეყნის ზღუდეს
ვერ მოსდრეკს მკლავი,
ვერ გავაშენებთ
საძმო ბაღში
მიხაკს და იებს,
ისე ლიმონის
ტყეს გულხარბად
ვერ იყვავილებს,
თუ ეს ქვეყანა
კვლავ დარჩება
გაუმარგლავი!



პირველ რიგში მარცხნიდან: ჩიჩერინი, ერიო, რაკოვსკი, პენლევე, ჟორჟ ლეიგ (საზღვაო მინისტრი).
უკან: რაკოვსკის და პენლევეს შუა—დე მონზი. პენლევეს და ლეიგის შუა ბერტელო.
(ერიოსთან კრასინის საპატივსაცემოდ გამართული სადილის შემდეგ)

V

გრიგალი მოდის,
ძველ ქვეყანას
ფეხის ქვეშ იგებს,
მაგრამ ბრბოს
ჭუჭყიან თმას
ალერსით შლის
და ფურჩხავს.
ეს ნიშანია—
ორ მტრულ ბანაკს
ვერ შეარიგებ,
ვერ შეარიგებ
ერთ მიზანში;
მდიდარს და ბეჩავს.
ვერ შეათვისებ
ცეცხლსა და წყალს
ღვთიური ძალით.
დასაბამიდან არ ირღვევა
კანონი მიწის
უნდა დაჰყურდეს
ამ ცხოვრების
მსუქანი ნაწილი,
რომ მით ამაღლდეს
ვინც ბრწყინვალე
ღირსებით იწყის.
მაგრამ სად არის
დროის და სივრცის
ბოლო ან კიდე?
მოვედით რისთვის,
ან საიდან,
მივდივართ საით?
ნუ თუ ქვეყანა
ახალ ცოდვას
კიდევ დაიტევს?
ვჩნდებით და ვქრებით
მზის ამოსვლა-ჩასავალსავით!
მაგრამ პასუხი:
გრიგალია და წუთიერი
თავბრუ დამხვევი
ამ ცხოვრების
ყველა ტალღები.
ბრბოც იძირება,
მასაც ხიბლავს
თავის იერი
და ის ცხოვრების
ფსკერზე ყოფნის
დროს იხალხება
და გრიგალის დროს
უხეშ მტარვალს
როდი დაუთმობს.
საუკუნეებით შენახულს
და ნაჭირნახულევს!
ის ძველ ქვეყანას
გადაუვლის ერთ
ცხელი ჟამი,
დაუფლება სამემკვიდროს
უშრეტს და ულევს!—
მაშინ დალეწავს
რკინის ჯებირს
ტალღით ნიაღვრი
და მზე ცხოველი
[illegible]
სამარადჟამოს
ის გაიმარჯვებს,
რაც არ ჩანდა
ბრძოლისთვის აქამდე
და შენც ცხოველო
კაცის გულის
მწველო ზარათო,
რომ არ აგენთო
ეს გრიგალი ვნებათა ღელვით,
ხალხს დღეს კისერზე
ექნებოდა ძველი უღელი.
მაგრამ შენ თითონ
შეეწირე
ბრბოს ყიჟინს უსხვერპლოდ.
შენი ფურცლები
დაიცრიცა და ჩაიფერფლა.
იქნება კიდევ
მსხვერპლზე-მსხვერპლი,
ასზე-ათასი,
სულ გაივსება
ცხელი სისხლით
ველი და თასი,
მიწა გაიტკბილებს
თავის საშოს,
ცა შექმნის კოცონს,
რომ ერთმანეთი
ჯოჯოხეთის
ცეცხლით დაჰკოცნონ.
მაგრამ ეს არის
დასაწყისი და ცდა
პირველი,
და სხვა მოჰყვება
გადასვლები
სულ სხვა სურათებს.
და ამ მოვლენას
თვით მერეხიც
კი უყურადებს
მწველი თვალებით,
სიმცხეებო და საკვირველი.
დრო კი ნახავს მის წინ:
ფეხზედა სდგას,
სძინავს კანკალებს
როცა უცქერის
ვეღარ უძლებს
მის ცეცხლის თვალებს.
მოდის დღეს იგი
და ქვეყანას,
რომ ეუბნება,—
შორით გაისმის შეძახილი:
თავისუფლება!

VI

თავისუფლებავ!
შენ ხარ ქალი
ძუძუებ სავსე,
რომელშიაც სდგას
მშობელის რძე
გულ-ამაძღარი,
და განურჩევლად
ამ ტკბილ მარშათს
ჩაგრულ ხალხს ასმევს,
შენთვის ერთია,



## სერგეი ესენინი

ლენინგრადში სასტუმრო „ინტერნაციონალში" გადიჭრა ხელის ძარღვები და შემდეგ თავი ჩამოიღრჩო რუსეთის პოეტმა სერგეი ესენინმა.

ის იყო შთამომავალი რიაზანელ გლეხის და პირველად მოსკოვის სალიტერატურო წრეებს მოევლინა, როგორც გლეხური რუსეთის პოეტი.

მან რუსეთის პოეტთა შორის პირველმა მიიღო ოქტომბრის რევოლიუცია, თუმცა შემდეგ შეშინდა ოქტომბრის გრანდიოზულობით, და მისივე თქმით „მხოლოდ ცალი ფეხით მიჰყვებოდა" მას.

თანამედროვე ლირიკულ პოეტებს შორის, რუსეთში ესენს ვერავინ ედრებოდა.

ის იყო პირველი პოეტი, რუსული სტიქიით გაჟღენთილი.

უმაღლესი განვითარება მისი შემოქმედებისა არის ციკლი ლექსებისა: „რუს უხოდიაშჩაია", „რუს სოვეტსკაია" და სოფლური ლექსები (წერილი დედის, პასუხი დედას და სხვა).

ამ ლექსების უმრავლესობა პოეტმა დასწერა თბილისში ყოფნის დროს, აქვე შექმნა მან ორი შედევრი „ლექსი საქართველოზე" და „საქართველოს პოეტებს", რომელთანაც ის იყო დაკავშირებული მეგობრობით და სიყვარულით. ესენინი უახლოვდებოდა პუშკინს ფორმის სიმარტივით. მან შექმნა რუსეთში ჯგუფი „იმაჟინისტების". შემდეგ ეს ჯგუფი მან თვითონ დაშალა.

უკანასკნელ დროს არავითარ მიმართულებას არ ეკუთვნოდა, დღევანდლამდის გამოურკვეველია მიზეზი მისი თვითმკვლელობისა. ესენინი დაასაფლავეს მოსკოვში ვოგანკოვის სასაფლაოზე დიდის ზეიმით. არტისტმა ვ. კაჩალოვმა კუბოსთან წაიკითხა მისი რამოდენიმე ლექსი. ესენინის პატარა ქალმა საფლავთან წაიკითხა პუშკინის ლექსები.

ალექსანდრ ბლოკისა და სერგეი ესენინის სიკვდილით რუსეთს მოსცილდა უძლიერესი გამომსახველნი რუსულ ლირიკულ სტიქიისა. ვათავსებთ „დროშის" ამ ნომერში დაღუპულ პოეტის ორი ლექსის თარგმანს სანდრო შანშიაშვილისას. (იხილეთ 19 გვერდი).

---

არ არსებობს შვილი და გერი.
თავისუფლებავ!
შენ ხარ ქალი
თეთო მზე თვალება,
სარტაკი გული
ტკბილი გრძნობით
და სათნოებით,
ბრბო შენს ხავ ფეხს
და ფეხის ტერფსაც
ენაცვალება.
ის არ გაგრიყავს
არ დაგტოვებს
განმარტოებით.
შენი სხეული
მარმარილო, სალოცავია,
შენი თმები კი—
საუკუნეთ წელთა
გრეხილი,
ჩაგრული გულები
დალურსმულნი
და გამეხალნი
დღეს შენი ცქერით
და იმედით ისევ ჰყვავიან.
შენ დაავიწყე
ხალხს წამება,
ძველი ტრფილი,
დღეს მალარიში
მუშა ცოდვით
ალირო რჩება
გავა დრო ბევრი
და შენ ჩვენთვის
ისევ დარჩები,
მაინც ძვირფასი,
სავოგმარო
და სასურველი.
შენ ხარ კენტავრი
და ღმერთ-ქალი
გულ-მკერდ შიშველი,
მუდამ ქარიშხლის
და გრიგალის თანამხლებელი
არ დაილუპვი,
ბრბო ყოველთვის,
მუდამ გიშველის,
სანამ ხარ მისი
ვნებათ ღელვის
დამეურვებელი.

VII

მოქალაქენო!
გზა გახსენით,
მოდის ეს ქალი.
მისი თვალები
მწველი არის,
როგორც მზის სხივი,
და ეს დროებს, შეკრული
გულ-ხარბი, ცივი
ტორტმანებს ცოდვით,
და ეს ცოდვა—თვითონ
გრიგალით.
რამ შეგაშინათ?
ეს გრიგალიც
არაფერს გავნებთ!
თუმცა ის მოდის
გამძაფრებით
უხეში დათვი.
უდაბნოს გულში
ღრმად დამარხავს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა ქარავნებს,
რომელთაც მოაქვთ
ოქრო, ვერცხლი
მეფეებთათვის.
და ეს გემებიც
რომ მოდიან
უვარსკვლავო გზით,
და თან რომ მოაქვთ
საგანძური.
მათ იალქანებს
ეს მძლე გრიგალი
ზღვის დონემდე
გადააქანებს
და იქ ჩაითრევს
სადაც მეფობს
მხოლოდ ქაოსი,—
რომ მისი ტვირთი:
მარგალიტი, ოქრო და ლალი,
ზურმუხტი, ჭივი,
ბრილიანტი და მარჯნის თვალი
ჩაყლაპოს
ერთი პირის მოსმით
არარაობამ,
თორემ ის ქვეყნად
შეჰქმნის ახალ
საცოდაობას...
გულს დასჭრის ასჯერ
დაშნა ვესლით
პირ მოციმციმე;
მას არ ახარებს
ეს ქვეყანა
იყოს ყაფანი,
და თუ ის მაინც
არ მოიშლის:
წამოვა მძიმედ—
ვით ზღვის
უფსკრულში
ჩაძირული ლევიათანი.

VIII

და დღეს ბრბოს ბედქარს,
ბრბოს წმინდას
და ბრბოს უნამუსოს,
რომელს ახარებს
გამარჯვება
გაძლომის მეტად,
შეუკუმშია
თავის ლონე
ქვის გასაკვნეტად,
რომ მტერს
გულის ღრმა
ხვეულები
შხამით გაუვსოს.
აღარ არსებობს
წმიდათა-წმიდა?
ან ის სად იყო,

როცა ნაღველი
დახაგრულის შეა გაიყო!
როცა მის კუჭში
კუ ძვრებოდა
და ღრიანკელი,
როცა სულს მღელვარს
შუქი არ ჰფენდა
მწველი კანკელი,
როცა ცის თაღი
მას აყრიდა
სუსხსა და ყინვას,
დედა-მიწა კი
მხოლოდ მათრახს,
კვნესას და გმინვას?!
სად იყო მაშინ
სამართალი ან
წმიდათ-წმიდა,
ორთავეს მხოლოდ
მდუმარებით
ხმა ჩაეკმიდათ
და ველურ სურათს,
საზღაპროს,
და გულის დამდაღველს
ასხამდენ შურით
გესლსა და შხამში
გალესილ ნაღველს!
მაგრამ მრავალი
ამოიჭრა გამძაფრებული,
და გულის ჭირი,
ბოლმა სევდის ბნელი
კრებული,
ისე დარეკვა
და ისროლა
წყევდიადისაკენ,
რომ გული დარჩა
ამ ცხოვრების
ამხახველ სარკეთ—
ბრბო კი ამ ბრძოლის
მესაჭე და ხიდვა მედგარი
ახალ ცხოვრების
მთელის ცემის
გზაზე შემდგარი.

IX

დღეს მზე თანასწორ
სხივებს აფენს
მთებსა და ველებს,
თავისუფლება ილიმება
პირ-მოციმციმე,
და ქმაყოფილ გულს
ძველი ცოდვა
აღარ აღელვებს,
აღარ აღელვებს
გამოვლილი
წუთები მძიმე.

მის წინ იშლება
აწმყო ტურფა
და გუგმიანი,
მის წინ იშლება
ახალ ქვეყნის
მწველი მანტია,
და კოცონებიც
ახლა ისე აღარ
ანთია,
აღარც გრიგალი
ჰქრის ცოდვილი
პირმეხიანი.
აღარც ვაება
და გუგუნი
ბნელი ქაოსის,
აღარც ტირილი
და ცრემლები
სასაფლაოსი,
ოცნება მკვეთრი
იფურჩქნება
ლერწამ—კედრებად,
თავისუფლების
დროს სიცოცხლე!
რა შეედრება?
რა შეედრება
როცა გულს
არ აწვება ჭირი,
როცა საკუთარ
სურვილების
რბენას და ჯირითს
არ უგებს მახეს
ავი სული
და ბილწებელი.
მუდამ ვაების
ბოროტების
თანამხლებელი.
დღეს სული
ლაღობს.
აღარ უკვდის
გრიგალს და კოცონს
ახალ შობილი
ეს ქვეყანა
უნდა დაჰკოცნოს.
და ეს სიმებიც
ალტაცების
ცეცხლით მღერიან.
აქ სატრფალი
ხომ გაიგეთ არაფერია!
ძველი ქვეყანა
წელ მოხრილი
ყრუ და ბებერი
მძლე ქარიშხალმა
დაანგრია
ერთი შებერვით!

იონა ვაკელი.

---

# უპატრონო ბავში

შენ ქუჩის დარაჯს მიყავხარ ღამით,
ჩამოხეული და ფეხშიშველი.
თუ აგათრიეს მძინარე სადმე,
გნახეს ნარვალში მშიერი, სველი.

—:—

შენ გალურჯებულ, პატარა სხეულს
ფარავს ტომარა ჩამოხეული.
და მე გადევნებ თვალებს ამღვრეულს,
ქუჩაში უქმათ გამოთრეული.

—:—

ცივია შენთვის თბილი სამხრეთი,
და ეს თბილისი—სიზმარი მწარე.
შენ მოგატყუეს, რომ არის ღმერთი,
რომ სიყვარული ჩვენს გულში არი.

—:—

ყუში რუსეთის განისლულ ველებს
ზნიქავს ყინვები და ბუქი ფარჩავს.
შენ კი თბილისის ზეცა გასველებს
და ჩამოლლეტილს შიმშილი გახრჩობს.

ისევ, თუ ვოლგა გადიელვარებს
შენ მკბენარებით ავსებულ თავში...
მაგრამ ეს ქუჩა—ცივად მღელვარე
კუბოა ჩვენთვის პატარა ბავშო!

—:—

დედის ალერსი გატირებს ალბად...
და გაშტერებით ხშირად ჩერდები.
მაგრამ დაკარგულ საფლავში დალპა
შორეულ დედის ტკბილი მკერდები.

—:—

აქაც ზამთარმა დაუნდობლობა
და სიყვარული იცის თავისი.
და განთენიას შენი ობლობა
იქნება მისთვის უნეტარესი.

—:—

მიითბობ პირთან გაყინულ ხელებს,
და ჩაიძინებ ბავშური ძილით.
მხოლოდ ნაგავის გადამთრეველებს
სულ ზედმეტ საქმეს გაუჩენ დილით.

6 დეკემბერი.

კოლაუ ნადირაძე.

# ზემო--იმერეთი 1905 წელში.



დავით სულიაშვილი

ბურუსით დაფარულ ხევებში მიდის ჭიათურის მატარებელი. მედიდურად მიარღვევს ვიწრო ლიანდაგის გზას ორთქლმავალი; დაჭრილ შველივით გაჰყვირის იგი გორაკთა შორის, ათვირთაქებულ წიწილებსავით მისდევენ უკან კოლოფებად ერთმანეთზე მოჯაჭვული ვაგონები.

ქვეით, დაბლობში ღრიანცელით ეხეთქება ქვებს ყვირილას წყალი.

აგერ შავი გორაკებიც! გამურული ჩოხები და ჩოჩიალა ურმები შავი მიწით.

აქ შავია თითქოს თვით ზეცაც!..

შავია კაცის სახეც, ხოლო ახლა ღიმილისგან ნათდება მისი ბაგე.

აქ უკვე გარკვეულია მუშისათვის ყველაფერი: უკვე მოწყობილია ორგანიზაცია, დაარსებულია წითელი რაზმი, გაიარაღებულია ადგილობრივი პოლიცია და გულზვიადია მუშა.

სადგურის დარბაზში, სადგურის ახლოს, ხიდთან, ქუჩის პირად და ყველგან, სადაც კი შეჯგუფება შეიძლება, შექუჩულია შვიდ-რვა კაცი და არის კამათი გაცხარებული.

— ამხანაგო, ბოლშევიკების პროგრამა მასე კი არაა შენ რო ამბობ! ლენინმა სთქვა: პარტიის წევრად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის, ვინც რომელიმე ორგანიზაციის წევრია. თუ არ ხარ შენ ორგანიზაციის წევრი, ვერც გახდები სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრი! აბა, რაფერ შეიძლება სხვანაირად!..

— რაფერ შეიძლება და იქნებ ქე არ შემიძლია ორგანიზაციის წევრი ვიყო და სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ქე ვეხმარებოდე! მაშ, რატომ არ უნდა ვიყო პარტიის წევრი?

— აბა, შენ მშიშარა ყოფილხარ! ჩინოვნიკი!. თვარა რატომ არ გინდა ორგანიზაციის წევრი გახდე? ეს ეგაა სწორედ მენშევიკების თვისება-ოპორტუნისტობა!..

— ვინცხაა მშიშარა ამას ქე დღეინახავთ! თქვენა ხართ ანარხისტები, ბლანკისტები! რატომაა მაინცა-დამაინც ორგანიზაციის წევრობა საჭირო, ვერ გამიგია?..

— თუ ვერ გაგიგია, ჩემი რა ბრალია!. იმიტომაა საჭირო, რომ პარტიაში არ შემოვიდეს ყოველი არამზადა, ვაჭარი, ან მშიშარა ჩინოვნიკი! რა არის აქ გაუგებარი? შენ ჩემო ძმაო, არაფერი გესმის და კამათს კი მიწყებ აქანე!..

— თავს ლაფი დაასხი ვისაც შენზე ნაკლები ესმოდეს რამე!..

წიწაკასავით გაწითლებული და აპილპილებული შეყვირებს მოწინაამდეგე. კამათის მაგიერ პირადული ლანძღვა-გინება იწყება. მსმენელები ლაპარაკში ჩაერევიან და მოკამათეებს ამშვიდებენ.

— ბიძია, აი ბოლშევიკი, აი მენშევიკი, რატომაა საჭირო? არ ჯობია ბიძია ყველა ერთად იყოთ?—გვერდზე გაიყვანს ერთ მოკამათეთაგანს ხანში შესული გლეხი და დაბეჯითებით ეუბნება: რა გაქვთ ბიძია გასაყოფი? აი დაწყევლილი ნიკოლოზი მოვიშოროთ თავიდან და მერე დავიწყოთ მაგაზე ლაპარაკი!.. ასე არ სჯობია ბიძია?

— მაგას ვამბობთ ბიძია ჩვენც, მაგას! აი, ბოლშევიკები ურევენ საქმეს თვარა?

— ჰო და ასე, ბიძია, ასე!..

მეორე ადგილას ჯგუფი უფრო მრავალრიცხოვანია. შუაში სდგას ამხანაგი და კვლავ ბოლშევიკურ და მენშევიკურ ტაქტიკა-ორგანიზაციაზე ლაპარაკობს. ეტყობა საკითხში კარგათაა გარკვეული.

ერთი ადგილობრივი ამხანაგი ჯგუფის ნაპირად სდგას და გარშემორტყმულ მუშებს წინაამდეგში არწმუნებს: თავს გააქნევს, ქაღალდის ფურცელზე რაღაცას ჩაიწერს, კამათში სიტყვებს ჩაურთავს, ცხარობს, ბურტყუნებს და სცდილობს ისეთი შთაბეჭდილება შექნას, რომ მოწინაამდეგის ლაპარაკი როგორმე გააბათილოს. მის ახლოს სდგანან მუშებიც მას შესცქერიან. კამათის საგანს თუმცა ვერ არკვევენ, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ მოლაპარაკე სცრუობს, მოტყუება სურს... მათ გვერდში მდგარი კი, უსათუოდ დაამარცხებს მას და სიმართლესაც წინ გამოშლის.

მოლაპარაკე შეჩერდება, თითქო საკამათოდ იწვევდეს ვისმესო. ნაპირად მდგარი გრძნობს მომენტს, როცა თავის მიმდევრებს ძალა და ცოდნა უნდა აჩვენოს. წრეს გაცხარებით გაარღვევს, კარანდაშით მოლაპარაკეს წინ დაუდგება და დიდი პათოსით ეკითხება:

— პარტია ხომ პარტიაა?..

— დიახ, პარტიაა! უპასუხებს მოწინაამდეგე.

— ორგანიზაცია ხომ ორგანიზაციაა?..

— დიახ, ორგანიზაციაა!

— დილამშვიდობისა!.. გამარჯვებულის კილოთი შესძახებს მოკამათე, თავს ამაყად მაღლა ასწევს და უკან ბრუნდება.

—

ბათუმელი მუშა, ახალგაზრდა, მოლიმარი სახით, გატაცებული მუშაკი და კარგი ორგანიზატორი,—ჩვენთან სცხოვრობს. თხუთმეტი წლისა დაობლებულა და ბათუმში წასულა სამუშაოდ.

როცა სამუშაოზე წამიყვანს და სადმე ხვრელში შეკრებებით სალაპარაკოდ, გვერდს მომიჯდება და ყოველ ჩემს ფრაზას თითქოს მოძახილს ეუბნებოდეს, ბეჯითი კილოთი ჩაურთავს: „ერსიტყვით ამხანაგებო!"... ამით თითქო მამხნევებს მე და აგრეთვე რწმენას უმტკიცებს მსმენელებს.

„ერსიტყვით" ამხანაგო, დღეს უნდა გაღმა სოფელში წავიდეთ, არა?—ხუმრობით მიმართავს ხშირად.

უყვარს, როცა რუსულად დავიწყებ ლაპარაკს. ისიც კუნთებს სჭიმავს და სცდილობს რუსული კილო დაიცვას.

„ერსიტყვით" ამხანაგო, მარქსის „იზ ესეხ ტეხ სრედსტვ პროიზვოდსტვა"—გამართლებულია!

მოსწონს მის მიერვე შეთხზული, თუ სადმე გაგონილი, ეს ფრაზა. ალბად იმიტომ, რომ გაუგებარია და ძნელი გამოსათქმელი.

ჰაერი რევოლიუციონური აღფრთოვანებით იყო აღტაცებული.

ისმოდა სიცილი და გამარჯვების სიმღერა.

„ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ წესებს
შემოვიბერტყოთ ფეხზე მის მტვერი...
ჩვენ არა გვსურს ოქროს კერპები
მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი!“...

მიდიოდა მუშა და მიიმღეროდა.

„აღსდეგ შემოკრბით მუშებო, აღსდექი!..
აღზდეგ მტერზედა მშიერო ძმებო...
შურის ძიების დასჭექე ხმაო,
გასწი, გასწი... წინ, წინ, წინ!..

მიდიოდა ჯგუფი გლეხებისა და ყელში დაჭიმული ძარღვებით, გაფართოებული თვალებით, გატაცებული და აფრთოვანებული ახმაურებდა მიდამოს.

ახლა ხალხი განზე სდგას და რევოლიუციის ბედიღბალი ორგანიზაციებს აქვს ჩაბარებული, თავისი წითელი რაზმებით.

შემდგარია ბოლშევიკების, მენშევიკების, ფედერალისტების და ესერების რაზმები.

ყოველი ორგანიზაცია სცდილობს რაზმი მრავალრიცხოვანი ჰყავდეს და კარგად გამოწყობილი.

ყოველი ახალგაზდა ცრემლიანი თვალით შესცქერის თავის ამხანაგს, წითელ რაზმელს და ნაღვლობს, რომ მას ალარ ერგო ბერდანა.

ბათომელი ამხანაგი „ერსიტყვით“ ეწერება რაზმში. გამოწყობილია ბერდანით და უხარია, რომ თორმეტი ტყვია აქვს.

ამბობენ: მოსკოვში გაათფთრებული ბრძოლებია ქუჩებში და მალე პროლეტარიატი ხელში აიღებს თავისუფლებას. თბილისში ფაქტიურად მუშები განაგებენ. გურიაში ხალხმა სავსებით მოსპო თვითმპყრობელობის წარმომადგენლობის დაწესებულებანი და მდგომარეობის ბატონ-პატრონია.

უეცრად ვრცელდება ხმა: ქუთაისის შეიარაღებული რაზმი დამარცხდა და შველას თხოულბსო.

ვინ არის ასეთი ხმის გამვრცელებელი? რომელი უხილავი ძალა სწყვეტს რევოლიუციონურ ტალღის ასეთ თუ ისეთ გაჭანებას? სად არის ის აუცილებელი ენერგია, შეიარაღებულ რაზმელებს, რომ ატოკებს?..

„ქუთაისში დამარცხებულან ჩვენები, შველას თხოულობენ.“ ეს ფრაზა გადადის პირიდან პირში და ენთება შურისძიების კოცონი.

მეორე დღეს სადგური ივსება რაზმელებით, გადაწყვეტილია ქუთაისში წასვლა.

როგორც ფუტკარი სკასთან, ისე ირევა სადგურთან ხალხი.

ჯგუფებად მოდიან რაზმელები, წითელი დროშებით, მარქსის, ენგელსის და ლასსალის სურათებით.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“!!.
აღსდეგ შემოკრბი, მუშავ აღსდეგი
აღსდეგ მტრებზედა მშიერო ძმაო,
შურის ძიების დასჭექე ხმაო
გასწი, გასწი, წინ, წინ წინ!..

მოდიან ჯგუფები სიმღერით, ბერდანებით, ჩოხებით, შავი ბლუზებით, ყაბალახებით, ლია თვალებით და გაბაბრული თვალებით.

ფაცა-ფუცი, არეული სიარული, ქრიამული, გაძახილი, ყვირილი და სიმღერა ერთმანეთშია არეული.

ყველა დარბის და განკარგულებას იძლევა. არეულდარევაა. მაგრამ მთავარი რამ, მაინც კეთდება. რაზმელები მატარებელში სხდებიან. მემანქანე მანქანას დაურევს უნდება, კონდუქტორი სადგურის უფროსისგან ქაღალდს ელის. ტელეგრაფისტი შემდეგ სადგურს უძახის.

იძახიან: „წავიდეთ ბარელამ, რაღას ვუცდით!“— „მოიცათ კიდევ არიან რაზმელები მოსასვლელი!“.

ახლა გაერთებულია ბოლშევიკების და მენშევიკების რაზმები. გამოურკვეველია ვინაა ფაქტიურად ამ ხალხის ხელმძღვანელი. სად ექნებათ ბინა, სად გაათევენ ღამეს.

ექნებათ თუ არა ლოგინი, საჭმელი!

რაზმელები მიდიან. მათ გაიგეს, რომ ქუთაისი გასაჭირშია, შველა აუცილებელია და სხვა რაღაა საჭირო? რა დახვდებათ წინ; იფიქრონ ამაზე? გატაცება და სიმღერაა ამის პასუხი.

ერთი რამ აწუხებს ყველას: საკმარისი ტყვიები რომ არა აქვთ ბერდანისთვის! ითვლიან ტყვიებს, ხელში ავოგმანებენ, ერთმანეთს უჩვენებენ, სცვლიან. ოცზე მეტი ვისაც აღმოაჩნდება ბედნიერია!

არავის აქვს თბილი ტანისამოსი; ყველა თხელი ბლუზებით და ჩუსტებითაა. ჩოხა ვისაც აცვია, ეს უკვე საკმარისია!..

„ჩვენ მხარი მივცეთ ჩვენ ტანჯულ მოძმეებს,
მშიერ ხალხს ხელი ჩვენ გავუწოდოთ.
წყევლა და კრულვა შევუთვალოთ მტერს
და ბრძოლის ველზე გამოვიწოდოთ!..



1905 წელი. გურულების გახიზვნა ტყეში.

ისმის რონოდის ფანჯრებიდან რაზმელების სიმღერა.

ვიღაცას გამოძცხვარი პური მოაქვს ტომრით და რაზმელებს ურიგებს. ვაგონები გაჭედილია. ფანჯრებიდან იყურებიან ახალგაზრდა თავები. სდგანან ვაგონის შესავალ'ში, სდგანან კიბეებზე. „მოდიხარ?"—„მოვდივარ!"—„აბა, დავსხდეთ!"—„წავიდეთ, წავიდეთ რაღას ვუცდით!" „ეხლავე ამხანაგებო, ეხლავე, ნუ ჩქარობთ!" „კიდევ არიან მოსასვლელები?!..

შუა გულ სადგურის ბაქანზე, მხრებზე შეისვეს ორატორი. როგორც ქარიშხალისგან აბნეული ტირიფის ხე, ისეა აწეწილი მისი თმა. ყელში ძარღვები დაჭიმული აქვს და ცეცხლიანი თვალებით მოუხმობს რაზმელებს მომავალი ბრძოლებისკენ.

„ძირს, ძიიირს!.. გაუმარჯოს, გაუმარჯოს!!!" შესძახებს ხალხი და ორატორიც სიტყვასათავებს.

მესამე ზარი ირეკება, მატარებელი ნელა სცილდება სადგურს ფანჯრებიდან გადმოფენილი თავები, კიბეებზე ჩამოკიდებული ჩოხები. ქუდების ქნევა, ურას და ვაშას ძახილი, ბერდანების ხელში ტრიალი, ყვირილი, ცეკვა და თამაში...

ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ წესებს
ჩამოვიბერტყოთ ფეხზე მის მტვერი...

გაისმის გუგუნი სიმღერისა... ბორბლები გრუხუნებენ და კოლოფებად ერთმანეთზე გადაჯაჭული რონოდები, დახლაკნილ ქიასავით მისრიალებენ გორაკთა შორის. ორთქლმავალი ახლა მედიდურად ქშინავს და ხვრინავს. როგორც ამურძგნული ფრთებ აშლილი კრუხი, წიწილებით დასაცავად გამზადებული,— ისე ფორიაქობს ორთქლმავალი წამოწეულ გორაკთა შორის და მიქშუის ქვეით, გამალებული.

ბრძოლა მაგ ძალლებს მდიდარ ქოფაკებს,
შეფეს მაგ ბოროტს, სულთა-მხუთავსა,
ჭკა, მუსრი ავლე მაგ ავაზაკებს
ქარი გაულე ცისკრის ვარსკვლავსა...

გაისმის ბორბლების ხრიალთან ერთად, რაზმელების არეული სიმღერა, ზვიადად გადმომყურე გორაკთა შორის...

—:—

ზესტაფონ'ში გამოირკვა, რომ ქუთაისში წასვლა საჭირო არ იყო, ამიტომ რაზმელები აქ დაბანაკდნენ.

სოფლებიდან მოდიოდნენ გლეხები ნავთის და ასანთის საყიდლათ, შესცქეროდნენ შეიარაღებულ რაზმელებს, მერე სოფლად მიჰქონდათ ამბავი ზესტაფონ'ში თავმოყრილ რაზმელების შესახებ.

თვითეული სოფელი ცდილობდა გაეგზავნა თავისი რაზმი. ჯგუფებად მოდიოდნენ სოფლებიდან ჩოხა-ამოკაოწახებული ახალგაზრდები. ამაყად, სიმღერით და წითელი დროშებით გაივლიდენ ქუჩას რაზმელები.

რაზმელებით გავსებული იყო სკოლა, თეატრი და რკინის-გზის ცარიელი შენობები. იძინებდენ იატაკზე ულოგინოთ, იდაყვით თავ-ქვეშ, ბერდანას ჩახუტებული.

სადგური გადაქცეულიყო შტაბის საცხოვრებლად და კრებების მოსახდენად. შტაბის განკარგულებაში იყო ტელეგრაფი და ტელეფონი, ორთქლმავლები და ვაგონები.

იყო მოლოდინი და გაურკვეველი გაქანება სტიქიური ძალის.

რა ხდებოდა გარშემო? როგორი უნდა ყოფილიყო გეზი მოქმედების? საით უნდა მიმართულიყო ენერგია შეკრებილი ძალის?.. გაურკვეველი იყო.

„აი, ამას ხომ მოვესწარი და აწი რაც გინდა დამემართოს!" გაიძახოდა რომელიმე რაზმელი.

ყოველ მოვლენას, ყოველ დაწყებულ მოქმედებას, ყოველ დამრულ ენერგიას—თავის ლოღიკური მსვლელობა და დასკვნა აქვს.

წითელი რაზმელები, ერთი მხრივ, და ამავე დროს დაბანაკებული ჯარის ნაწილები, როგორც ზესტაფონ'ში, ისე ხარაგოულ'ში და წიფა'ში!

ერთს უნდ მოესპო მეორე, ან მეორეს უნდა გაენადგურებინა პირველი.

—:—

— ერთი სიტყვით ამხანაგო! გადაწყდა ჯარის იარაღის აყრა! მეუბნება ბათომელი ამხანაგი.

— მერე?

— მე უნდა ხარაგოულ'ში წავიდე ორიოდე რაზმელით!

— მეც ხომ იქ მოვდივარ, იცი?

— მართლა?!..

— მაშ, ღლესვე წავალთ ერთად!..

უკვე დაღამებული იყო, სადგურზე რომ გავედით, ორთქლმავალის მისაღებათ.

სატელეგრაფო'ში თბილოდა. შტაბის განკარგულება სადგურის უფროსს ვაჩვენეთ და ორთქლმავალი მოვითხოვეთ. „ეხლავე ამხანაგებო, ეხლავე!.." აილო სასმენის ყური. დაურეკა დეპოს.

— „დეპო, დეპო! დეპო ხარ? ჰა? არ მესმის!.. ვინ ხარ? შენ ხარ მჟავაძე?.. გესმის ერთი თბილი „პარაოზი" თუ გყავს მზად? ჰა? არა?.. აბა, უნდა გაახუროთ! ჰა? მაშინისტი? მაშინისტს უნდა შეატყობინოთ! ჰა? ხარაგოულ'ში უნდა წავიდეს! ჰო! ასე! მალე მალე!...

ალბად რომ თბილოდა ამ ოთახ'ში ამიტომ ყველა იქ შემოდიოდა. ოთახ'ში ოფლიანი ფეხსაცმელის სუნი იდგა და პაპიროზის კვამლი. რამდენიმე რაზმელს ნაბადი გაუგია, ფეხები ბერდანისთვის შემოუხვევნია და მიძინებია იდაყვზე თავ მიდებულს.

ტელეგრაფის მაგიდაზე მანქანას კაკუნი გააქვს. ტელეფონი იხვისავით ყივის. „ყვიი-ყვიი-ყვი-ყვი! ყვიი-ყვიი-ყვი-ყვი!" ვიხაა ნეტა ერთი საქმე რომ გააჭირა? კითხულობს ტელეგრაფისტი და სასმენს ყურთან მიიტანს. „ჰო, ჰო! ყვირილა ვარ! შენ ვინა ხარ? ძიროულა? რა გინდა? ჰო? ორთქლმავალი? მერე ვისთვის გინდა?.. კარგი, კარგი! ხარაგოულ'ში მიდის ერთი ორთქლმავალი, რო გამობრუნდება იმას გამოყვნენ!"..

— ხუთი რაზმელი ჩამოვიდა სოფლიდანო და ორთქლმავალს თხოულობენო. არა! ის ოჯახქორები ვერ მეიცდიან ხვალამდის?.. მოგვმართავს ტელეგრაფისტი.

ხრიალით, გრიალით, ჩხარა-ჩხურით. ბორბლების ხრიგინით მიარღვევს წყვდიადს ჩვენი ორთქლმავალი. გახურებული ღუმელის წინ ვდგევარ. ცეცხლის ქარი ჯერ ღუმელის კარს მოაწყდება და მერე გაშმაგებული უკან ბრუნდება.

სადგურ'ზე ამხანაგები გვიცდიან. გვეუბნებიან ადგილობრივ ჯარის ნაწილის თავგასულობას და თავხედობას.

— ალბად გრძნობენ, რომ მაგათი წუთები დათვლილია და თვითონ გვიწვევენ საბრძოლველად! გუშინ კინაღამ მოთმინებიდან გამოიყვანეს სადგურზე გამოსული რაზმელები: ერთ სალდათს ფული არ მიეცა ბავშისთვის, რომლისაგანაც თხილი ეყიდნა. ამაზე აუხირდა ერთი რაზმელი და კიდეც წაუთაქა ორიოდე. სალდათმა ყვირილი შექნა, დუქნებიდან გამოცვივდნენ რაზმელები. მაგრამ ჩავერიეთ საქმეში, რაზმელები დავამშვიდეთ, სალდათებს საქმის გარემოება ავუხსენით და დავამშვიდეთ, თორემ უსათუოდ ატყდებოდა სროლა!..

— მაგათ ერთი ოფიცერი ჰყავთ, ხულიგანთა ხულიგანი! სულ იმის ბრალია! ამას წინად ყური მოვკარი, ღელის პირად ჩამჯდარიყო სამი სალდათით და ჩვენზე ლაპარაკობდნენ.

ადგილობრივ სკოლის ერთ ოთახ'ში შტაბს კრება ჰქონდა და ჩვენც იქ წავედით. მივესალმეთ ერთმანეთს. შემოთავაზებულ ადგილებზე დავსხედით. პატარა ლამფა ნახევრად ანათებდა ოთახს. თავმჯდომარემ გადმოქვცა საქმის მდგომარეობა.

გამოირკვა: ხვალ დილას, ჯარის ნაწილი (60 კაცი) ფეხით წავა ზესტაფონ'ში მყოფ ჯართან შესაერთებლად, ფეხით იმიტომ, რომ ადგილობრივ ამხანაგებს უარი უთქვამთ ორთქლმავალის და ვაგონების მიცემაზე, გათენდება თუ არა გაუდგებიან რკინის გზით ზესტაფონისკენ.

რაზმელები ამაღამ ჩაუსაფრდებიან გზაში, იქ, სადაც გზა ვიწროვდება და აქეთ-იქით პატარა გორაკები იმართება. „ახლა უნდა გამოვარკვიოთ, თუ როგორ მოვიქცეთ, რა ტაქტიკას დავადგეთ" დაამთავრა თავმჯდომარემ.

მომენტის სერიოზობას ყველა გრძნობს. რაზმის რიცხვი არ აღემატება ოცდა თორმეტ კაცს. ყველას ბერდანა აქვს, ოც-ოცი ტყვიით.

სხვადასხვა წინადადებებს იძლევიან: „ჩვენ ჩავუსაფრდებით რკინისგზის ლიანდაგის ორივე მხარეს. როცა ჯარის ნაწილი მოახლოვდება, ერთი ამხანაგი წამოდგება და მიმართავს სალდათებს სიტყვით. ისინი იარაღს დაყრიან. თუ არა და, მაშინ დავუწყებთ სროლას"... „არა, მასთე არ ივარგებს! ჩვენ წინდაწინვე დავყაროთ ლიანდაგზე დამზადებული პროკლამაციები. მერე დავუქროთ, თუ იარაღს არ დაყრიან, ვესროლოთ საფარებიდან"... „ჩემის აზრით, სალდათებს არ უნდა ვესროლოთ, მხოლოდ ოფიცრებს და სალდათები მერე თავისთავად დაყრიან იარაღს"... „ეს მართალია ამხანაგებო. მაგრამ, არ უნდა გავაგებინოთ, არც სიტყვით, არც მიმართვით და არც სხვა სახით, თუ სადა ვართ ჩასაფრებული. ერთი სიტყვით, როგორც უკანასკნელმა ამხანაგმა სთქვა,—ოფიცრებს უნდა ვესროლოთ. მერე კი სალდათები თვით დაყრიან იარაღს. ა, ასეა ამხანაგებო ერთსიტყვით!"...

ფანჯრიდან გავცქერ რკინისგზის ლიანდაგს. შავი ზოლით რომ მიჰყვება თოვლით დაფენილ გორაკს ძირში. აქ უნდა გამოიარონ სალდათებმა და ორი ვერსის დაშორებით კი უნდა მოხდეს შეტაკება.

ვხედავ მზის სხივები როგორ ესხურება გორაკის გული ჩქროლავს, როგორც ცეცხლით შეპყრობილი ადამიაფერდობს და როგორ ციალდებიან თოვლის ნამცეცებანის.

აგერ მოდიან! ორ პატარა ბარგით დატვირთულ ვაგონს, ხელით მიაგორებენ სალდათები. შემდეგ მოდის ოფიცერი და მის უკან კი იმართა რიგი მზის სხივებზე მოელვარე ხიშტებისა. მწკრივი, როგორც მავთულზე გაბმული ვაზი,—ხიშტები; ქანაობით მისდევენ ერთმანეთს.

გადის დრო. მოსახლენი ყოველდღიურ ცხოვრების ჭირ-ვარამის დაურევში არიან გართულნი. გაფითრებული დავიარები. ვინ იცის, რომელი მეგობარი-ამხანაგი რამდენიმე საათის შემდეგ საფლავქვეში სისხლით ენახო თვალდახუჭული. ვაი, თუ ვერ შესრულდის გეგმა და სალდათები დაერიონ საფრებში ჩამსხდარ ამხანაგებს... მერე ვინ შეაჩერებს გამხეცებულ სალდათების მძვინვარებას?..

მივდივარ იქით მხარეს, საიდანაც საფრებია. მზზინავი თოვლი თვალებს მჭრის. გავდივარ სოფლის პირად, იდუმალი მდუმარებაა გარშემო.

უცბად ატყდა სროლა, შეიძრა ჰაერი. კიდევ და კიდევ მწკრივი, ერთბაშნ სროლა. გორაკები სროლას ერთმანეთს გადასცემენ. და ამ თოვლით მოფენილ არემარეში ეს უჩვეულო ხმაური ტანში ჟრუანტელს ატარებს.

მწკრივ სროლას კანტი-კუნტი სროლა მოჰყვა. გრძელდება სროლა და ვფიქრობ: რატომ გრძელდება? თუ სალდათებმა იარაღი დაჰყარეს, მაშ სროლა რატომღაა?.. ა? გონებაში წვრილი ბურღივით შეიჭრება ერთი აზრი: იქნებ დამარცხდნენ ჩვენები და ახლა გამძვინვარებული სალდათები, ნადირსავით დასდევენ ამხანაგებს?.. აა?.. და წყდება ფიქრი.

ლიანდაგის გზით მივდივარ იქით. კვლავ კანტი-კუნტი სროლა. ვხედავ მირბიან სოფლელები: ვინ ფილთა თოფით, ვინ ხანჯლით, ვინ ნაჯახით და ვინ კეტით. მირბიან, მაგრამ სად? რისთვის? რა მოხდა? არ იციან!.. მხოლოდ ინსტიქტით მისდევენ და მზად არიან...

აგერ გავუხვიე მოხვეულ ლიანდაგს და... ვინტოვკებით მხრებზე, მოღიმარი სახით, ხუთიოდე რაზმელი და მათ უკან იარაღ აყრილი თუთხმეტიოდე სალდათი.

შეიცვალა მთელი არსება. ტკბილი ჩქროლვა გულისა ვიგრძენი. რაზმელებში გავარჩიე ბათომელი ამხანაგი „ერთსიტყვით".

გვაკლია ვინმე ამხანაგებიდან? ვეკითხები აჩქარებული.

— არავინ!

— დაჭრილი?

— მგონი, არც დაჭრილი უნდა იყოს ვინმე!

— მათგან?

— ერთი ოფიცერი მოკლული, ერთიც სალდათი, ორიოდე დაჭრილი. ერთსიტყვით გავიმარჯვეთ!..

— წინააღმდეგობა გაგიწიეს?

— ერთსიტყვით, რომ მოახლოვდნენ და გაგვესწორდნენ, ნიშანში ამოვიღე პირველი ოფიცერი. ვესროლეთ, მარა პირველ სროლით არ მოხვდა. არ დეიბნა ის დაწყევლილი და უბძანა სალდათებს ორ წყობად აქეთ-იქით მხარეს ესროლათ. მარა, ჩვენ საფრებში ვიყავით და ისინი კი ასე გვყავდნენ, როგორც ხელის გულზე. იგრიალა ვინტოვკებმა, იგრიალა ბერდანებმაც და მოხვდა ოფიცერს შიგ გულში. დაეცა. მის გვერდით დაეცა აგრეთვე ერთი სალდათი. ერთსიტყვით, კიდევ ისროლეს სალდათებმა, მარა რომ დეინახეს დაცემული ოფიცერი, დეიბნენ ცხვრებსავით. ზოგი მდინარისკენ გეიქცა, ზოგი საყარაულოში შევიდა. ჩვენ კი სროლას ვაგრძელებთ, მარა ძირს, ფეხებში ვსეროდით. დაყარეს იარაღი. ჩამოვცვივდით საფრებიდან და შევცვალეთ ბერდანები ვინტოვკებზე... აწი ხომ ხედავ ამას!.. და მაჩვენა შეძენილი ვინტოვკა.

მივრბივარ სროლის ადგილზე. აქეთ-იქით ბუჩქნარიანი გორაკები ლიანდაგს დასცქერიან. ატალახებულია ლიანდაგის ნაპირი. მოჰყავთ რაზმელებს დატყვევებული სალდათები.

ყველა სიხარულით მთვრალია. სალდათები გაფითრებული და დაბნეული არიან. აგერ დატყვევებული მეორე ოფიცერი. მეხვეწება: გამიგეთ ცოლი, ცოლი სად არის, როგორ არის!.. საყარაულოში შევდივარ: თვალღია მოკლული ოფიცერი და ერთი სალდათი ერთად ჰყრიან იატაკზე. ერთი რაზმელი თავს ადგია ყარაულად.

რაზმელები დარბიან, ვინტოვკებს და ბერდანებს თავს უყრიან. მიტოვებულ ბარგს სდარაჯობენ. ერთი რაზმელს შეამჩნიეს მეკრულ ბარგს რომ დანა გაუსვა და ფეხსაცმელის წაღება მოინდომა, მაგრამ დაარცხვინეს და შეაჩერეს.

ყოველი რაზმელი ყვებულობს, ყველა თავისებურად ამიწერს, თუ როგორ დაუმიზნა და მოჰკლა ოფიცერი. „ამოვიღე ნიშანში, თუ არა, შიგ გულში გავარტყი პირველი ტყვია!".

ვამჩნევ კიდევ ოფიცერს. გამიკვირდა: მესამე ოფიცერი არ მეგულებოდა. მივუახლოვდი: ოფიცრის პალტოში გახვეული ქალი. თმა გაწეწილი და გაფითრებული ქმარზე მეკითხება. ერთმანეთს ვახვედრებ. გფის თვალებს ემსგავსება მათი თვალები. სიხარულის ცრემლები და ხვევნა, როგორც ახალგაზრდა მიჯნურების.

სალდათებს ჰგონიათ ყველას დავხვრეტთ. ვარწმუნებ, ვუხსნი, ვამხნევებ.

ტელეფონით ზესტაფონს შევატყობინეთ მომხდარი ამბავი. ერთი საათის შემდეგ იქიდან იგივე გვაცნობეს.

—:—

გამარჯვებას ვზეიმობდით. რაზმელთა რიცხვი გაიზარდა. ბერდანებთან ერთად ვინტოვკებიც ბევრი გვქონდა ზოლით მოწყვეტილი ვიყავით თბილის და არც ვიცოდით, იქ რა ხდებოდა.

და სწორედ მაშინ, როცა უმაღლეს გამარჯვებას, როცა ბერდანები ვინტოვკებზე შევცვალეთ, როცა ტყვეებიც ბევრი გავიჩინეთ, როცა რაზმელებიც გავამრავლეთ როცა ბრძოლაც მოვიგეთ,—მაშინ ვიგრძენით მომენტის სერიოზობა და გულსაც გაურკვევი მწუხარება ეწვია.

უკვე ტუნელთან ჩასაფრებულ რაზმელებს, თფილისიდან წამოსულ ყაზახებთან შეტაკება ჰქონდათ.

უკვე ქართლიდან გადმოცვივნულ ამხანაგებისგან ვგებულობდით ყაზახების თარეშს თბილისსა და ქართლში.

უკვე მოდიოდენ პირები, რომელნიც მთავრობის

მიერ მილებულ გეგმას, სასჯელ რაზმის გამოგზავნის შესახებ, გვაცნობდნენ.

მოდიოდა ხმები, რომ მოსკოვის აჯანყება დამარცხდა, რომ რუსეთში უკვე რეაქციამ გაიმარჯვა.

ბრძოლისთვის გაწყობილი რაზმელები თავისას არ იშლიდენ და გაიძახოდნენ:

„უნდა წავიდეთ, ტუნელი უნდა ავაფეთქოთ, მერე კორტოხზე გადავიდეთ და თბილისი ავიღოთ!..

„უნდა წავიდეთ, უნდა წავიდეთ!.. იმეორებდნენ სხვები.

„კი, მაგრამ მოსკოვში თუ დავმარცხდით!.. იჭვნეულობდნენ ზოგნი.

რაზმელები მაინც მიდიოდნენ ტუნელისკენ. პოზიციებს იკავებდნენ და ტუნელის გამაგრებას ჰფიქრობდნენ.

ტუნელის აფეთქება ვერ მოხერხდა და მხოლოდ ერთი ორთქლმავალი დატოვეს ტუნელში დაზიანებული.

არ იყო გარკვეული ტაქტიკა, პოზიციებში მყოფ ამხანაგებისთვის, არ იყო მოწყობილი სურსათის მოწოდება.

რომ წიფაში და მოლითში რამდენიმე დუქანი და სახლი დაწვეს.

მთხრობელი შეშინებული და აცახცახებული მოყვებოდა, თუ როგორ მოასწრო გამოქცევა, როგორ უმზერდა გორაკიდან ცეცხლ მოკიდებულ სოფელს, როგორი აჩქარებით მიეზიდებოდნენ დაბნეული მცხოვრებნი ურმებით თავიანთ ბარგს, ცოლებს და ბავშვებს დაშორებულ სოფლებში.

ყველა ქუთაისისკენ ეშურებოდა. მიტოვებულ მოხუცების ცემა, სისხლი და ცეცხლი კი, უკან მისდევდა.

გადაიწვა ხორაგოული, გადაიწვა ყვირილა. ცეცხლი, ცეცხლი მოედო იმერეთს.

დაგროვდებოდნენ სოფლის მოხუცნი და ხატებით, ხელმწიფის სურათით, პურით და მარილით, ეახლებოდნენ დამცველ რაზმის უფროსს. ფიცსა სდებდნენ მის წინაშე, რომ არ დამალავდნენ „სოციალისტებს" და მთავრობას გადასცემდნენ ურჩებს,—ოღონდ თავიდან აეცილებინათ შურისძიება და რისხვა დამსჯელი რაზმისა.

ცეცხლი მოედო მთელ დასავლეთ საქართველოს...



ჩადრმოხ ნილი ქალები ოსმალეთის პარლამენტის წინ, ანგორაში.

რაზმელებს არ ჰქონდათ საცმელი, თავის დროზე საჭმელი.

და როცა ქუთაისის მთავარმა შტაბმა გადაწყვიტა პოზიციების მოხსნა,—შეციენებული, გათოშილი და მშიერი რაზმელები უკვე სტოვებდნენ პოზიციებს და უკან მოდიოდნენ.

მოსახლეობამ ადრე იგრძნო მოსალოდნელი საფრთხე და ყველა თავის თადარიგს შეუდგა. დაიწყეს ბარგის შეკვრა და დაშორებულ სოფლებში ოჯახების გახიზვნა. ურემი ურემს მისდევდა. იკეტებოდნენ სახლები, დუქნები, ცარიელდებოდა სოფელი.

რაზმელები, მწუხრათ გამოიყურებოდნენ. აღარ იყო აფრთოვანება, სიცილი, გატაცება. ყველა თავის სახლს ეტანებოდა.

მოდიოდა ხმები, რომ ყაზახები ტუნელს გამოცდნენ,

ცეცხლი, სისხლი და შურისძიება დაეუფლა ძველ კოლხიდას...

—:—

— კიდევ შორს არის? ამხანაგო!

— ერთისიტყვით, ამ სერს რო გადევიართ, იქვეა ჩვენი მასინძელიც!

მიპასუხებს ჩემი თანამხლ[illegible] ბათუმელი ამხანაგი. „ერთისიტყვით".

ოთხი დღეა რაც ქუთაისიდან ფეხით მოვდივართ. გადმოვიარეთ სოფლები, ქიათურა და კიდევ სოფლები. ლიხის მთა უნდა გავიაროთ და მერე თბილისში ჩავიდეთ. ჩვენი ნაცნობი სალდათები, ახლა რკინის-გზის ლიანდაგის სადგურებზე არიან ჩამორიგებულნი და ყოველ მატარებელს ათვალიერებენ, რომ რომელიმე ნაცნობს შეხვდნენ.

სულ რამდენიმე კვირის წინად, ამ სოფლებში თამა-



საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობის დელეგატები

მაღ და გულზვიადად დავიარებოდით; სულ რამოდენიმე კვირის წინად აფრთოვანებული და თვალებ აციალებულნი, ვლამობდით ერთის დაკვრით ბორკილება მოგვესპო. რამოდენიმე კვირის წინად ტკბილი სითხე სრიალდება სხეულში. ახლა კი შხამი, ვესლი და ბოღმა დაუფლებია ჩვენს კუნთებს.

— სად არის შენი ვინტოვკა და რევოლვერი?

— ისეთ ალაგს შევინახე, რომ ერთი ალიხანოვი კი არა, ხუთი, რომ გამოგზავნონ, იმას ვერ მიაგნებენ! ერისიტყვით!..



ჩინეთის სახალხო ჯარის სარდალი ფინ იუნ-სენი.

— მერე, როდის გინდა კვლავ გასწმინდო და მხარზე გაიდო?

— მალე, სულ მალე! აგი საქმე ასე რაფერ ჩეიელის! თავსხლაფი დაესხეს მოსკოვს, იმან დაგვლუპა თვარა! ერისიტყვით, ჩავალთ თბილისში და ყველაფერი გამოირკვევა! გევიგებთ რაშიც არის საქმე!.

— ჰო, თბილისში ყველაფერს გავიგებთ!

— ერთი ეს მითხარი, აი, ყვირილის ხაზინა, რომ წამევილეთ, ხომ სანდო პირების ხელშია?

— რასაკვირველია! პარტიის კომიტეტის ხელშია!

— ჰო და, აი ფული სულ იარაღს უნდა მოხმარდესო. საზღვარ გარეთ უნდა ვიყიდოთო ამბობდენ ქუთაისში!

სერს უკვე გადავცდით, მის ფერდობზე შორი-შორს გაფანტული სახლები გამოჩნდნენ.

— კიდევ შორს არის?—ვეკითხები დაღლილ-დაქანცული.

— აგერ ე, იქანეა! და გამიშვირა ხელი მდინარის გაღმა ნაპირს, მეორე სერის ძირში.

ბინდდებოდა მასპინძელს, რომ მივადექით.

მეორე დღეს გათენებისას კვლავ გაუდექით გზას, კიდევ გადვიარეთ მთა, მუხლებამდის რომ თოვლში ვიფლებოდით. მგლურის ნაბიჯით წინ მიდიოდა დაუღალავი ამხანაგი და უკან მივსდევდი არაქათ გამოლეული.

თბილისში მალე მოვნახეთ ამხანაგები. აქ აღარ იყო ის სასოწარკვეთილება, ჩვენ რომ გამოვცადეთ. კვლავ მუშაობისკენ, კვლავ ბრძოლისკენ გვიწვევდნენ ამხანაგები.

კვირას კვირა, მისდევდა და მას კიდევ თვეები.

თავვიდვით ამომძვრალი რეაქცია, ახლა შავ კატად გადიქცა და თანდათანობით ჰბასრავდა თავის ბრჭყალებს. იკაწრებოდა და სისხლი ედინებოდა ჩვენ გულს. მძიმდებოდა ჰაერი და ტყვიასავით ბოღმა და სევდა ეუფლებოდა ჩვენ კუნთებს.

თვითეულად და ჯგუფობით შავი კატის ბრჭყალებში სცვივდებოდნენ ამხანაგები. დღეში ათ გზას გაიღებოდა ციხის კარი და ივსებოდა დარკინული ოთახები.

როგორც მძიმე ნაბიჯით კუბოს მისდევენ ნათესავები, ისე დაიარებოდნენ ქუჩებზე ამხანაგები.

ყოველ დღიური ცხოვრება, ნაცნობ კალაპოტში ჩამდგარი, კვლავ უდგებოდა თავის ჩვეულებრივ მსვლელობას. უბრუნდებოდნენ მიტოვებულ სწავლას ახალგაზრდები.

„ჩამოდი ჩემთან, ზაფხულიც აქ გაატარე, გაკვეთილებსაც იშოვი და თან სამუშაოც გექნება წრეებში. ნულარ დააყოვნებ. ახლა საჭიროა მუშაობა წყნარი და აუჩქარებელი. ჩამოდი. იგი შენ გელის!!!"

იწერებოდა ერთი პატარა საავარაკო ქალაქიდან ამხანაგი.

ორი დღის ჩასული ვიყავი, საღამოს ხანს, ქუჩაზე რომ მიედიოდი, ორი სალდათი ამედევნა, ყურადღებას არ ვაქცევდი. პატარა ხნის შემდეგ ორი ოთხად იქცა. უცბად ოთხივე წინ გადამეღობენ. ერთმა შესძახა: „ ვოტ ეტოტ **სამიი, კოტორიი უბილ ნაშევო კომანდირა**"-ო და მომკიდა მკლავში ხელი. მეორემ ჩემი მეორე მკლავი შეიკავა. მესამემ მუჯლუგუნი წამკრა. მიმოვიხედე, მეგონა გამომვლელნი გამომესარჩლებოდნენ ძალზე გავიწიე, რომ დავსხლტომოდი, მაგრამ ერთი ოთხთან ვერაფერს გავხდი. ჭამრები შემოიხსნეს და ცემა დამწყეს. გამვლელი მოსახლე შეჩერდებოდა. პატარა ხანს გვაცქერდებოდა და მერე გზას გაუდგებოდა.

იქვე მახლობლად ერთ სახლში შემიყვანეს. აქ სცხოვრობდა მათი ახალი კომანდირი.

და როცა უკვე ოთახში ვიდექ მოქანცული,—გამართოვებული სალდათებით გარშემორტყმული,—მაშინ ვიგრძენ, თითქო ჩემი ქვეყანა მოსწყდა ალაგს, წავიდა შორს, შორს უცნობს უხილავ მხარეში და მე დავრჩი მარტო, უმწეო და უნუგეშო, ამ მაჯლაჯუნასავით გარსშემორტყმულ სალდათებს შორის. გულში ტკივილი ვიგრძენი. ამღერებული სიმი გაწყდა. შეწყდა ხმაური, სხეულში რომ ჩქრიალებდა და გაურკვეველ დუმილმა მოიცვა არსება. ვიდექი მოდუნებული, ბედს დამორჩილებული.

გამოვიდა მეორე ოთახიდან კომანდირი, ხანში შესული, ქალარა წვერებით, ჩამჯდარი მოკლე ტანით. სალდათებმა ხელის აწევით სალამი მისცეს; „**ტაკ ჩტო, ეტოტ სამიი, კოტორიი, უბილ ნაშევო კომანდირა, ვაშევისოკობლოგოროდიე!**".

„ვოტ კაკ?!" გაკვირვებით დამაცქერდა ოფიცერი. „ტაკ ეტო, ონ ბილ ტამ?".

ერთი სალდათი ძალიან ცდილობდა თავისი უქვე მერდომილესი და ერთგულესი მონობა დაემტკიცებია მის წინაშე და მაგრად მკიდებდა ხელს.

**ტაკ, ტაკ ეგო სერდიუკ! ნე უპუსკაი ეგო! ნუ, ჩტო პოპალ ვ ნაში ლაპი? ტეპერ ნე სდობროვატ!.. კროვ უბიტოგო დავიდოვა ვოპიეტ კ ნამ!!!**

გამოვიდნენ მეორე ოთახიდან ოფიცრები. ზოგი გამოულაპარაკებლად დამათვალიერებდა ისევ წავიდოდა, ზოგი ჰყვიროდა, ილანძღებოდა.

გაბრუებული, თავდავიწყებული ვიდექი და ვისმენდი სიტყვებს, ვხედავდი პაგონებს, აბჭყვიალებულ ღილებს, ქამრებს, ჩამოკიდებულ ხმლებს და ვგრძნობდი მკლავში ჩაჭიდებულ ხელს.

მეორე ოთახიდან კი ხმა დაწეული ლაპარაკი ისმოდა, თითქოს საიდუმლო საგანზე მსჯელობენო.

პატარა ხნის შემდეგ მოვიდა ადგილობრივი ბოქაული. უბის წიგნში ჩაიწერა ჩემი სახელი და გვარი და გავიდა. მერე ოთახში შემოვიდა ექვსი თოფიანი ყაზახი. გარს შემომერტყა.

რომ გავედით კომანდირს მიემართე: „პრიკაჟიტე, ჩტობი ნე ბილი!“. „პალცემ ეგო ნე ტროგათ, ნო კაკ ტოლკო ზახოჩეტ ბეჟატ, ხეიჩას-ჟე ნა მესტე ულოჟიტ!“. მისცა ბრძანება ოფიცერმა.

ეს იყო წარმოთქმული ცივი, ლურსმანივით წვეტიანი ხმით, თითქო ამ სიტყვებს ის კი არ ამბობდა, არამედ სხვა, უხილავი პიროვნება, დროებით მის არსებაში მოთავსებულ. შემზარა ტანში. სადღაც მივარდნილ კუთხეში გაურკვეველი, ყრუ ხმაური შემომესმა.

გავედით ქუჩაში. უკვე შუაღამეს გადაცილებული იყო. მოსახლეები კანტი-კუნტად გაივლიდნენ ქუჩის ქვაფენილზე. ერთმანეთს დაემშვიდობოდნენ. „ხვალამდის“ იტყოდნენ და სხვა და სხვა გზით წავიდოდნენ.

სად მივყავდი არ ვიცოდი. ჩემს გვერდით სალდათები არ მცილდებოდნენ, გარს კიდევ ყაზახები მერტყნენ. გავცდით ქალაქს.

მოულოდნელად ერთი ახალგაზრდა ოფიცერი წამოგვეწია. სალდათებს გამოკითხა ჩემი დატუსაღების ამბავი. კილოზე შევატყვე ქართველი იყო. მომიდგა გვერდში და გამომყვა. მისმა ლაპარაკმა, ნდობა დაბადა ჩემში.

გზაში გამოირკვა, რომ მე მივყავდით სალდათების ბანაკში, რომელიც ორი ვერსით იყო ქალაქიდან დაშორებული.

ცაზე აქა-იქ ვარსკვლავები კიაფობდნენ. გზის ერთი გვერდით მდინარე მირაკრაკებდა, მეორე მხრით კი მაღლობი მიგვყვებოდა. მყუდროებას სალდათების ფეხის ხმა არღვევდა. უეცრად ყაზახები გაიფანტნენ. შეცვივდნენ მაღლობზე. ჩახმახებს ჩაკენი თოფებს. „სტრელიატ, სტრელიატ!“ ერთმანეთს ეუბნებოდნენ... იმავე წუთს ინსტინქტურად ერთ სალდათთაგანს მკლავში ხელი მოვკიდე, ოფიცერმა ხმალი ამოიღო. ჩემს წინ გაჩერდა

ვარინდებული ვიდექი „კაკ ტოლკო ზახოჩეტ ბეჟატ, ხეიჩას-ჟე ნა მესტე ულოჟიტე“. ყრუდ გაირბინა თავში ფრაზამ. პატარა ხნის შემდეგ ყაზახები დაბრუნდნენ. მომენტი გაუშვეს. ველარ მესროლეს, რადგან სალდათსა და ოფიცერს შუა აღმოჩნდი. ოფიცერი შეეკითხა, თუ რისთვის გაიფანტნენ.—უპასუხეს: „ტაკ ჩტო ვოტ ნამ პაკაზალოს, ჩტო ხოტიატ ნაპასთ, ჩტობი ეგო ოსვობოდით, ა ტამ ნიკოგო ნე ოკაზალოს!“.

ოფიცერს არაფერი უთქვამს ამის შემდეგ, თითქო იცოდა რაშიაც იყო საქმე.

მივედით ბანაკში. თეთრი ბატებივით დაფანტულ კარვების წინ გავჩერდით.

ურჩევდნენ ოფიცერს სალდათები.

ის ხმას არ იღებდა, რაღაზე ფიქრობდა. მერე წავიდა და განკარგულებები გასცა. დააცლევინა ერთი კარავი, გამოიხმო სამი ყარაული. შემიყვანა კარავში და მისცა ყარაულებს ბრძანება: რომ მასთან პალატაში შესვლა არავის გაეშვენა.

ოფიცერს ვგრძნობდი, როგორც მფარველ პიროვნებას. შემდეგში მივხვდი, რომ მისი ბრძანება: ჩემთან არავინ შემოუშვათ, იმას ნიშნავდა, რომ, თუ შემოვიდოდნენ, ცემით მომკლავდნენ.

განკარგულების შემდეგ წავიდა ოფიცერი და ჩემს გულს სევდა ეწვია.

კარავში ვიდექი, პაპიროზს ვწევდი და ვხედავდი კარავის წინ, როგორ იკრიბებოდნენ ნიმძინარევი სალდათები. იგინებოდნენ, ილანძღებოდნენ. ერთი სალდათი წყრომით მიმართავდა იმ სალდათებს, რომელთაც დამიჭირეს: რა ღმერთი გაგიწყრათ, რომ აქ ცოცხალი მოიყვანეთ, თუ იარაღი არ ჰქონდათ, ქვა მაინც ვერ იშოვეთ, რომ თავი გაგეჭყლიტათ მაგ არამზადისთვის და მდინარეში გადაგეგდოთ?.. „იცით, ამხანაგებო! თუ ყველა მოვინდომებთ, პირობას შევკრავთ, ავიღოთ ხიშტებით და მდინარეში გადავაგდოთ! მაშინ, მთელ გუნდს, ხომ იცით, ვერაფერს გვიზამენ!.. გაიძახოდა მეორე სალდათი.

სხეულის კუნთები დაიჭიმენ, გამახვილდა სმენა, გაერთწერტილდა გონება. შეიძრა მთელი არსება. ჩემს წინ, მჭერეტავ ფანრის სინათლეზე ვარჩევდი შეჯგუფებულ



ჩინეთის გენერალი ჩან-ძო-ლინი, იაპონიის აგენტი.

სალდათების სახეებს, ვისმენდი ჩემსკენ მომართულ გინებას და ლანძღვას.

„მერე? მართალია, რომ ყველამ პირობა შეკრას და ხიშტზე ამწიონ... მერე?“.. „არა, ოღონდ ამაღამ ნუ, და ხვალ, ხვალ კი მზადა ვარ ყველაფრისთვის“... გამალებით ვწევდი პაპიროზს. „რატომ წამოგიყვანეს აქ? რატომ პოლიციას არ გადაქცეს? რატომ ჩაიწერა ბოქაულმა შენი გვარი?“. გრძელდებოდა თავში ფიქრი. უმწეობას ვგრძნობდი, ვილაცას შევთხოვდი, ოღონდ იმ ღამეს გადავერჩენილიყავი, ოღონდ ერთხელ კიდევ დამენახა მზე, მენახა მშობლები, ჩემი პატარა ძმები და შემდეგ აღარ მაშინებდა სიკვდილი.

....ამაღამ ნუ, ოღონდ, ამაღამ გადავრჩე და ხვალ, როცა მზეს დავინახავ, მერე სულ ერთია!.. ემუდარება გრძნობა ვილაცას.

ერთ ყარაულთაგანს დავაკვირდი, კარავის წინ რომ იდგა, შევამჩნიე ქართველი იყო. შევეკითხე. მეზობელი სოფელი დაასახელა. მეც ვუთხარი სადაურიც ვიყავი გვარიც დაუსახელე. მამა ჩემს იცნობდა. შევეხვეწე არავინ შემოეშვა კარავში.

— დედას ვუტირებ მაგ უნიფხო შვილებსა, აბა, შენი ჭირიმე ჩვენებური ყოფილხარ და თავს როგორ დავიზოგავ! ჯერ ნაბრძანებიც მაქვს და ესეც რომ არ იყოს, ვის ვახლევინებ ხელსა!.. არც გამოვიცვლები ამაღამ და აქ ვიდგები.... ნუ გეშინია, შენი ჭირიმე!..

სადღაც შვება ვიგრძენი, ერთი დაჭიმული ძარღვი მოეშვა.

სალდათები კი მბჟუტავ ფარნის ქვეშ ყაყანობდნენ, იგინებოდნენ და ილანძღებოდნენ. ყველაზე მეტს ყვიროდა ერთი რიჟა ულვაშებიანი სალდათი, მონგოლური თვალებით, სიღრმეში რომ იყო ჩაცვივნული.

დიდხანს იდგნენ. იგინებოდნენ. ილანძღებოდნენ.

კარავის წინ მინდორი იყო. მერე წყალი მიმდინარეობდა. შევამჩნიე მის ნაპირს ბუნდოვანად როგორ აისხენინ ხის ტოტები. და შეიქნა ტყეში ჩიტების ჟღურტული.

აღარ იქნება ყვირილი, ღრიანცელი, გინება, ლანძღვა.. და მე ვიცხოვრებ ოთხკედელ შუა ამხანაგთა შორის!... რომ მე ვნახავ მშობლებს, ნათესავებს... რომ მე შემეძლება გადავცე ამხანაგებს წუხანდელი ტანჯვების ამბავი... კიდევ გათენდება და კიდევ ამოვა მზე, გამთბობი გულისა...

ციხე გახდა ჩემი სანატრელი და მანუგეშებელი ადგილი. ციხის კედლების დანახვას ველოდი, როგორც ბავში ალიონს. ციხე იყო კუნძული, სავსე მხიარულებით და მზით.

მატარებელი სცილდებოდა ნაცნობ სადგურებს, გორაკების ძირში მიყვებოდა და უახლოვდებოდა დანიშნულ ქალაქის ციხეს.

აგერ გამოჩნდა ქალაქიც! გავიარეთ მისი ქუჩები და ჩემი გული ჩქროლავს, ფეხის კუნთებში სისხლი გამალებით ჩხრიალებს და მე მინდა სირბილით მივადგე ციხის კარებს და შევძახო: ეი, დარაჯო გამიღე კარი!..

სალდათები კი ზლაზვნით მოდიან, ქუჩებს ათვალიერებენ. ჩემი თვალები იქით არის მიპყრობილი, საიდანაც ციხის კედლები უნდა გამოჩნდეს.

აგერ გავუხვიეთ იმ ქუჩას, შევხედეთ ციხის კედლებს. მივადექით ალაყაფის კარებს. მეკარეს სალდათებმა ქაღა-



ჩინეთი. ფინ-იუნ-ხენის არმიის ჯარის-კაცები.

ტალღილი, უძინარი სალდათებიც სათითაოდ გაემართნენ კარვებისკენ.

მბჟუტავი ფანრის სინათლეც, მიმქრალი ნაკვერჩხლის წერტილად მოსჩანდა. ახმაურდა ბუნება და ხის ტოტებში გაიხლართა გამსჭვირვალე ალის ფერი სხივები...

მზე, მზე!.. დავინახე მზე, გორაკებს რომ ეთამაშებოდა მიდამოს, რომ ეფინებოდა და ჩემს გულსაც შვება ეძლეოდა...

გამოირკვა, რომ მე წამიყვანებენ მახლობელ ციხეში.

ლდები გადასცეს. გაიღო კარი. და მე გადავდგი ფეხი ციხის ეზოში.

ეზოშივე შემხვდნენ ამხანაგები. „ო! შენ?". „ბიჭოს შენც აქა ხარ?". „რამდენი ხანია?".. „შენ?" „როდის?" „გიორგაც აქ არის?" „დათიკოც?". „მერე, სად არიან?" „აქ არიან კამერაში!". „შენ? შენ როდის? როგორ, სად?„ და მოკლედ ვუყვებით ერთმანეთს ამბავს!..

და მე მიხარია, მიხარია, რომ ამხანაგებთან ერთად ციხის კედლებში ვიმყოფები...

დ. სულიაშვილი.

ოსკარ უალდი.

# რედინგის ციხის ბალლადა

გარდაცვალებიდან25 წლის შესრულების გამო

არ იყო ფარჩით ის შემოსილი.
მან შეაერთა ღვინო და სისხლი.
მას შეღებილი ჰქონდა ხელები,
როცა ის ნახეს გარდაცვლილ ქალთან,
რომელიც მოჰკლა მან სარეცელზე,
დაბრმავებულმა გიჟური ლტოლვით.
ის მიდიოდა ბრალდებულთ შორის,
რუხ ტანსაცმელში გამოწყობილი.
მისი ნაბიჯი იყო მსუბუქი,
იგი არ იყო დამწუხრებული.
მაგრამ უცქეროდა ის, სხვანაირი,
დაბეჯითებით დღიურ სინათლეს
მე არ ვიცოდი: თვალების ცქერა
ასეთი ხარბი თუ იქნებოდა.
იგი უცქეროდა უმცირეს ზოლსა,
შორეულ ზოლსა, ლურჯად მოქარგულს,
მას ჩვენ, ტყვეები, ვუწოდებთ ზეცას,
რომელიც არის ჩვენი იმედი.
განსაწმენდელის უცხო სულებთან
მეორე რკალში მე მივდიოდი.
და მე ვფიქრობდი კვლავ დაჟინებით,
რა იყო მისი დანაშაული.
ვიღაცამ უცბად ჩამიჩურჩულა:
„იმას მოელის სიკვდილის თოკი".
ო, ღმერთო ჩემო! ბნელი კედლები
შეირხენ, თითქო გადმოსანგრევად,
და ახანძარდა ჩემ ზევით ზეცა,
როგორც ლუმელი მოუწვთმელი,
და თუმცა თვითონ ვიტანჯებოდი,
გადამავიწყდა ჩემი წამება.
და მე ვხვდებოდი, როგორი ცეცხლით
ის, განწირული ახლა იწვოდა,
და რად უცქეროდა დღიურ სინათლეს
ასეთი ტრფობით და გატაცებით.
მან მოჰკლა იგი, ვინც რომ უყვარდა,
და უნდა მოკვდეს აუცილებლად.
ყველა მკვლელები ვართ სიყვარულის,
ეს სამუდამოდ ვაიგოს ყველამ.
მხოლოდ ჰკლავს ერთი ულმობელ ცქერით,
და ჰკლავს მეორე ცბიერი სიტყვით,
გაუბედავი ყალბი ამბორით,
და გაბედული ალესილ ხმალით,
ერთი სიყვარულს მოჰკლავს ყრმობაში,
და სიბერეში მეორე მოჰკლავს.
ერთი დაახრჩობს ენებიანობით,
მეორე ფულის ტკბილი ხმაურით.
ბილებს დანას უკეთილესი.
ვინც კვდება, იგი არ იტანჯება.
ჩვენ მივდიოდით და შევადგენდით
განსაცვიფრებელ ჯამბაზურ ალლუმს.
მაგრამ რა ვუყოთ! ჩვენ ხომ ვიყავით
ეშმაკის რაზმი შესაზარელი.
ფეხებში-ტყვია, თმა-გაპარსული,
ვით მასკარადი უძვირფასესი.
ჩვენ კანაფს ვწეწდით, თითის ფრჩხილები
დაგვემტვრა—სისხლით მთლად შეღებულნი.
მაღალ ჭერიდან იატაკამდე
მოაჯირიან ციხეს ვრეცხავდით.
და ცოცხებიდან, წყლის კასრებიდან
ჯოჯოხეთური იდგა ხმაური.

1. ვკერავდით ტომრებს, ვამტვრევდით ქვებსა,
2. ყოველი მხრიდან იყო ზანზარი.
3. ჩვენ რკინას ვცემდით, ვამზობდით ჰიმნებს,
4. გაბრუებულნი ვიყავით ყველა.
5. მაგრამ მეფობდა საშინელება,
6. საშინელება მეფობდა სულში.

დღეები, როგორც ჩუმი ტალღები
შორს მიდიოდენ ნაპრალთა შორის.
ჩვენ დაგვავიწყდა, რისი ლოდინი
შეეძლო ბრიყვსა და მატყუარას.
მუშაობიდან ჩვენ ვბრუნდებოდით,
როცა გათხრილი ვნახეთ სამარე.
თხრილი აღებდა პირს გაუმაძღარს,
და თავის ზვარაკს ელოდა ხარბად.
ტალახს სწყუროდა წითელი სისხლი,
ასფალტი იყო სავსე წყურვილით.
ვიცოდით ყველამ: ერთი ჩვენგანი
სიცოცხლეს უნდა გამოსალმოდა.
და ჩვენ შევედით ციხის მღვიმეში,
ვუცქეროდით სიკვდილს, სამართალს, შიშსა.
მოდის ჯალათი თავის ტომარით,
ის მიიმალა ცბიერ წყვდიადში.
და ჩვენ გავქვავდით ჩვენს ნომრების ქვეშ,
ისე, ვით მკვდარი თავის კუბოში.
და ახრდილება ციხის ტალანში
დარბოდენ, ძრწოდენ შეშინებულნი
რკინის ქალაქი გასხვანაირდა,
და ახმაურდა ბნელი სიჩუმე,
და სახეები იცქირებოდენ
რკინით დასერილ მკრთალ ფანჯრებიდან.
და დარაჯები ჩუმ ფეხსაცმელით
ტყვეებს ზვერავდენ კარის სარკმლიდან,
ზვერავდენ შიშით და გაკვირვებით
ტყვეებს, გართხმულებს ბნელ იატაკზე.
ტყვეებს, რომელნიც ღმერთს უგზავნიდენ
დიდ სასოებით მდუღარე ლოცვას.
ჯერ თეთრმა, შემდეგ წითელ მამალმა
იყივლა, მაგრამ დღე არ მოვიდა.
საშინელების აჩრდილნი რბოდენ
და თეთრეული აჩრდილი ღამის
ილრინებოდა და კრთოდა მტვერში.
ლანდები საძაგლად იკრიჭებოდენ
სულ ახლოს ჩვენთან, და მოშორებით.
და ერთმანეთზე გადაჭდობილნი
მარდათ ცეკვავდენ მარდ სარაბანდას.
ერთად ხაზავდენ სხვა არაბესკებს,
ისე, ვით ქარი სილის ტილოზე.
ისევ წყვდიადი, მაგრამ ნიავი,
დილის ნიავი მოვიდა კვნესით.
ბნელი ძაფები კვლავ დააგრძელა
მშრომელმა ღამემ თავის სართავზე.
და ჩვენ ლოცვებში ვთქვით საყვედური
შეუბრალებელ დღის სამართალზე.
უკანასკნელად ღამის ბნელეთში,
შეკრულ კედლის ვიწრო სიერცეზე,
მე მოაჯირის ჩრდილი ვიხილე
ვიხილე მისი ჰრელი ნაქარგი.
და მე გავიგე, რომ მსოფლიოში
არის წითელი სინათლე დღისა.
ჩვენ ექვს საათზე ვხვეტდით საკნებს
და შვიდზე იყო ყველგან სიჩუმე.
მაგრამ ჩურჩული საგრძნობი იყო,
იყო შრიალი მძლავრი მთებისა.
და მოსაკლავად, გაყინულ სუნთქვით
ჩვენთან მოვიდა თვითონ სიკვდილი.
ის არ მოსულა თოვლისფერ რაშით,
ის არ მოსულა წითელ მანტიით
საჟენი თოკის არის საჭირო,
რომ სამუდამოდ დადუმდეს კაცი.
ჩვენთან მოვიდა თვითონ სიკვდილი.
თავის იდუმალ მიზნებისათვის.

თარგმანი: ვალერიან გაფრინდაშვილის.

— 1274 —

## ლადო გუდიაშვილი



ჩვენ გვყავნან წმინდა ევროპიული ორიენტაციის მხატვრები. უფროსი თაობიდან მათ რაზმს ეკუთვნის გიგო გაბაშვილი, ახალიდან დავით კაკაბაძე და უდროოთ დაკარგული შალვა ქიქოძე. ჩვენ გვყავნან მხატვრები, რომელნიც ქართული კედლის მხატვრობისა და წიგნის მინიატურის ტრადიციებს განაგრძობენ. ესენი არიან ჩვენი დღევანდელი თეატრისა და წიგნის დეკორატორები. ბოლოს ჩვენ გვყავს პრიმიტივისტი მხატვარი, ბარბაროსული ნახატებითა და დიდი პოეტური შინაგრძნობით. ეს არის ნიკო ფიროსმანაშვილი?

რომელ კატეგორიას ეკუთვნის ლადო გუდიაშვილი?

ჩვენ გვგონია, რომ ამ მხატვრის შემოქმედება ერთგვარი უმაღლესი სინტეზის ძიებას წარმოადგენს. მას აქვს ფიროსმანიშვილის ტემაზე დახატული სცენები. იგივე კინტოები, რომელნიც ითვლებიან მეძავ ქალებთან ერთად ქალაქ გარედ ქეიფობენ, იგივე ფიგურები მეტყველი სხეულის ხაზებითა და მისტიური გამოხედვით, რომელიც ერთი მხრით უცნაურად ბიზანტიური წმინდანების გამოხედვას გვაგონებს, ხოლო მეორე მხრით მონგოლი მხედრისას; იგივე ქართული სუფრა მწვადებითა, წაქცეული ბოთლებითა, გულაღმა გადაბრუნებული დედლებითა და წელიანი ჭიქებით. იგივე გამოუთქმელი მელანქოლია გაყიდულ ალერსსა და დოლის რიტმზე წარმოთქმულ სადღეგრძელოში.

ჩვენ ვიცით, რომ ლადო გუდიაშვილმა ფიროსმანიშვილის სკოლასთან ერთად ჩვენი ძველი საფრესკო მხატვრობის სკოლაც გაიარა. მან შეისწავლა და თუ არ ვცდებით, ნაწილობრივ კიდეც გადმოიღო ზოგიერთი ქართული ძველი ეკლესიის კედლის მხატვრობა, ნაბახტევისა, დავით გარეჯის უდაბნოსა, ბერთუბანში. აქედან წარმოსდგება მისი საუცხოვო ცოცხალი ფიგურების დაჯგუფებისა, მისი ტიტველი ქალების წმინდანისებური გამოხედვა და ხელების მოძრაობა.

შემდეგ ის პარიზში წავიდა. ის წავიდა ამ თანამედროვე მხატვრული კულტურის ცენტრში, როგორც ჩვენი ძველი მხატვრები კონსტანტინოპოლში მიდიოდნენ. მაგრამ ჩვენი საშუალო საუკუნეების მხატვრები ბიზანტიაში მარტო ტეხნიკურ ცოდნას როდი იძენდნენ. იმ დროს საქართველოს ქრისტიანულ ბიზანტიასთან სარწმუნოებაც აერთებდა და ქართველი მხატვარი იქ შთაგონების წყაროსაც პოულობდა. გვაერთებს თუ არა დღეს ასეთი იდეოლოგიური ერთობა ბურჟუაზიულ ევროპასთან და შეუძლია თუ არა ქართველ მაძიებელ მხატვარს პარიზში, რომში ან ფლორენციაში ახალი შთაგონების წყარო იპოვოს? ჩვენ გვგონია, რომ არა. ჩვენ არ ვეკუთვნით იმ პესიმისტების რიცხვს, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპიული კულტურა საბოლოოდ გადაგვარდა და ევროპიელი ადამიანის შემოქმედებითი ენერგია საბოლოოდ დაიშრიტა. არა, თვით ევროპიული რასსა ჯანსაღია, შეიძლება უფრო ჯანსაღიც, ვიდრე ზოგიერთი წინააზიელი და შორეული აღმოსავლეთელი რასები. ბევრი ჯანსაღი ელემენტი მოიპოვება თვით თანამედროვე ევროპიულ კულტურაშიც. ევროპიელი ადამიანის გასაოცარი აქტივობა ინდუსტრიული კულტურისა და მეცნიერების სფეროში მის დაუშრეტელ ცხოველმყოფელ ენერგიას მოწმობს. მაგრამ თანამედროვე ევროპის სოციალური წესწყობილება უექველად დაავადებულია. აქ არ შევეხებით პოლიტიკურ და ეკონომიურ ფაქტებს. საკმაოა თანამედროვე ევროპიულ ხელოვნებასა და ლიტერატურას გადავავლოთ თვალი.

თანამედროვე ევროპის ხელოვნება და ლიტერატურა საბაზრო გახდა და დაექვემდებარა იაფი წარმოების კანონს. ინდუსტრიალიზაციამ და მექანიზაციამ დაიმორჩილა არა მარტო მატერიალური, არამედ ესთეტიური ღირებულებათა წარმოება, და ხელოვანი ხელოსანი გახდა.

ამით აიხსნება, რომ ჩვენი მაძიებელი მხატვრები, რომელნიც პარიზსა, მიუნხენსა თუ იტალიაში „შეგირდობის ხანას“ ატარებენ, ახალ მხატვრულ ტეხნიკას იძენენ, მაგრამ ახალი შემოქმედების იმპულსს ვერ პოულობენ. სკეპტიკურ და ხანში შესულ ბურჟუაზიას აღარ ძალუძს ის ენტუზიაზმი მოგვცეს, რომელსაც ერთ დროს ქრისტიანული ფანატიზმით გამსჭვალული ბიზანტია გვაძლევდა. და თვით „ევროპიულად განწყობილი“ ახალგაზრდა მხატვრები იმედ გაცრუებულნი ბრუნდებიან პარიზიდან.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ერთი მათგანი მწერდა იქიდან: „ომმა დაამთავრა და წერტილი დაუსვა ევროპის შემოქმედებით ძალებს. საფრანგეთის ახალგაზრდობის ოცი პროცენტი ომში დაიღუპა. ამაზე მეტი დასახიჩრებულია. დანარჩენნი ან არ ვარგანან, ან იმ თავითვე უმწეონი იყვნენ. და აწლანდელი ევროპა მართლაც მხოლოდ ბაზარია,სადაც შეგიძლია იყიდო და გაყიდო. ეს რამდენიმე ხანია სალონი გაიხსნა დიდ სასახლეში. მთელი ეს სასახლე (ალბათ გენახება) სავსეა სკულპტურითა და სურათებით. მაგრამ გადაჭარბებული არ გეგონოს: არც ერთი სურათი არ არის და არც ერთი ქანდაკება, რომ მცირედი ყურადღება მიიპყროს. ასეთ სილატაკეს მხოლოდ ისეთი ქვეყანა თუ შეურიგდება, რომელსაც არაფერი მოეთხოვება ხელოვნებაში. არის მხოლოდ ომით ნაკარნახევი ტენდენცია და ულამაზო, უხეში ფორმა; და ყოველივე ფრანკების რაოდენობით განიზომება. ყოველ ქანდაკებაში ნახავ ან წაქცეულ ჯარისკაცს, რომელსაც სიკვდილის წინ თითქო საპარიკმახეროში წვერი მოუპარსავს და რომელსაც თავზე გვირგვინს ადგამს მეტად საეჭვო ყოფაქცევის დედაკაცი („სამშობლოს“ განსახიერება!), ან კიდევ კლემანსოს, რომელსაც ზურგში ევებერთელა დროშა აქვს გაყრილი. ჟოფრი, ფოში და სხვა გენერლები, რომელთა სახელები უკანასკნელ ომთან არის დაკავშირებული, აქაური მხატვრებისა და სკულპტორების შემოქმედების მთავარ საგანს შეადგენენ“.

თუ ასეთია უფრო „ევროპიულად მიმართული“ ქართველი მხატვრების შთაბეჭდილებები, რაღა უნდა ითქვას ლადო გუდიაშვილზე, რომელიც ყველაზე მეტად თავისებური, ყველაზე მეტად ნაციონალურია ჩვენ ახალგაზრდა მხატვრებს შორის. ფრანგის მწერალმა მორის რეინალმა, რომელმაც ლადო გუდიაშვილს აღფრთოვანებული მონოგრაფია მიუძღვნა, მის საუკეთესო თვისებათ ის გარემოება აღიარა, „რომ ეს მხატვარი არ ლაპარაკობს ესპერანტოს ენას, რომ მან ეროვნული მგრძნობიარობა შეუბღალავად შეინარჩუნა კოსმოპოლიტური პარიზის პლასტიკურ ცდუნებათა ატმოსფეროში“. რასაკვირველია იმის თქმა არ შეიძლება, თითქო ლადო გუდიაშვილს არაფერი შეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძინოს პარიზში. თუ მისი მხატვრობის ტემა და მისი მგრძნობიარობა წინანდებური დარჩა, სამაგიეროდ მან დიდი ნაბიჯი გადასდგა ფერადების, მოხაზულობის, კომპოზიციის ხელოვნებაში. განსაკუთრებით მისი ნახაზები ამტკიცებენ, რომ დღეს ის მაძიებელი შეგირდი კი არა, ნამდვილი დამთავრებული ოსტატია.

მაგრამ ეს მაინც ის საბოლოო მხატვრული სინტეზი არ არის, რომელსაც ლადო გუდიაშვილი ეძებს. როგორც აღვნიშნეთ მან განვლო ფიროსმანიშვილის ქართული საფრესკო მხატვრობისა და თანამედროვე მხატვრული პარიზის სკოლა, მაგრამ მას არ შეუძლია ქართულ დუქანში, ნახევრად დანგრეულ ეკლესიაში ან ბურჟუაზიულ სალონში დარჩეს. მას არ შეუძლია არც იმ პაწია ოთახში დარჩეს, რომელიც მისთვის დროებით საცხოვრებლად მიუჩენიათ რუსთაველის თეატრის შენობაში. თავისი ნიჭითა და ძირითადი ტენდენციით ლადო გუდიაშვილი მაინც უფრო კედლის დეკორატორია და ამ მხრივ ის ნამდვილი მემკვიდრეა ჩვენი ძველი დიდი მხატვრებისა. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალი საქართველო შექმნის ახალ ხელოვნების სასახლეებს, რომლის კედლები მასში იმ შემოქმედების ენტუზიაზმს გამოიწვევს, როგორსაც ძველ ქართველ მხატვრებში საკურთხევლის კედლები იწვევდა, ხოლო მოხეტიალე ფიროსმანიშვილში ღვინის სარდაფი.

გ. ქ.

სერგეი ესენინი

# დ ე დ ი ს წ ე რ ი ლ ი

რა მოგიგონო,
ან რა მიგწერო,
ჩემ წინ დაღერემილს
სდევს მაგიდაზე
დედის წერილი.
იგი მწერს შემდეგს:
თუ შეგიძლიან
შვილო, მოდიო.
დღეობისათვის
მიყიდე კაბა.
მამას უყიდე
ფეხსაცმელები,
სახლში განვიცდით
დიდს გაჭირვებას.

ვშიშობ, არც მომწონს
რომ ხარ პოეტი.
დაუმეგობრდი
მაგ უხეირო
ბედნიერებას
განა არ სჯობდა
ბავშობიდანვე
შენ მიჰყოლოდი
მეგუთნეობას.

შვილო, დავბერდი
არად ვარგივარ.
მაგრამ შენ სახლში
რომ ჰყოფილიყავ
პირველიდანვე,
მეყოლებოდა
ეხლა მე რძალი
და ჩემს შვილიშვილს
ნანას ვეტყოდი
აკვანში ტკბილად.

შენ კი შვილები
ყველგან გაჰფანტე,
ცოლიც ადვილად
უცხოს დაუთმე.
შენ უოჯახო
და უმეგობრო
უკერო წახველ
ჩაეფალ წუმპეს
ბნელ სარდაფებში.

შვილო, ძვირფასო,
რა დაგემართა?
შენ იყავ ეძღენ
მშვიდი და წყნარი
შენზე ამბობდნენ ბედნიერია
ღლეს ესენინი ალექსანდრეო.
ჩვენი იმედი არ გამართლდა.
და გული უფრო მიტომ სწუხდება
რომ მამიშენის ფიქრიც გაცრუვდა:
ბლომად აგელო ლექსებში ფული.

მაგრამ რაც უნდა ბევრიც იღო,
შენ იმას სახლში არ გამოჰგზავნიდ;
ამიტომ მწარე სიტყვებსა გწერავ,
ვიცი თვით შენზე გამოცდილებით
პოეტებს ფულში არა აქვთ ბედი.

ვშიშობ, არც მომწონს
რომ ხარ პოეტი,
დაუმეგობრდი
მაგ უსარფო
ბედნიერებას.
განა არ სჯობდა
ბავშობიდანვე
შენ მიჰყოლოდი
მეგუთნეობას?
სულდა მაწუხებს,
შვილო, ჩვენ ვცხოვრობთ
მთლად სიბნელეში.
არა გვყავს ცხენი.
მაგრამ რომ ჩვენთან
სცხოვრობდე სახლში
მაშინ ჩვენთვისაც
ხომ იქნებოდა
ყოველისფერი.
და რომ შენ ასე ნასწავლი მყევხარ
არ აგცდებოდა
ადგილი თემის თავმჯდომარისა
ჩვენს აღმასკომში.
მაშინ ჩვენც კარგად გვეცხოვრებოდა.
მაშინ არავინ დაგვაბრიყვებდა
არც შენ იწვნევდი
არა სასტიკელ ცრუ დაღლილობას.
შენს ცოლს მივცემდი
საკერავს, საქსოვს.
და ჩვენ მოხუცებს
დაგვამშვიდებდი.

## პ ა ს უ ხ ი

მოხუცო დედავ და საყვარელო!
იცხოვრეთ ისე, როგორც აქამდე
თქვენ გიცხოვრიათ.
მე ვგრძნობ თქვენდამი
ნაზსა სიყვარულს, პატივისცემას.
მაგრამ შენ, დედი,
ბეწვისოდენას ვერას გაიგებ
მე როგორ ვცხოვრობ,
ან რას ვაკეთებ ამ ქვეყანაზე.
ეხლა მანდ თქვენში ზამთარი არის,
მთვარიან ღამეს, ვიცი, შენ მარტო
არა ოცნებობ.
და ვიღაც თითქოს
ნამქერებს არხევს
და თოვლს გარედან
აყრის ფანჯარებს.

ჩემო მშობელო
აბა, ქარბუქში
ვით დაიძინებ?
კვნესა ბუხარში
ისმის ზანგრძლივად
და სევდიანად.
გინდა წამოწვე,
მხედავ, ლოგინი
ასედ იგია,
მომწყვდეული ხარ
ვიწრო კუბოში
და თითქოს, ჰგონებ,
გასაფლავებდნენ

თითქოს სახიზღარ
დიაკვნებივით
ზარით მოსთქვამდეს
მანდ ქარიშხალი
თოვლი ძირს ცვივა
უზალთუნებად
და იმ კუბოსთან
არავინ მოსჩანს,
არცა მეუღლე,
არც მეგობარი.
ყველაზე მეტად
სოფელში მიყვარს
მე გაზაფხული
მიყვარს ღვარების
გაშლა მინდორზე
სად მცირე ნაფოტს,
როგორც ნავს ზღვაში,
აქვს გასაქანი.
თვალუწვდენელი,
და იმ გაზაფხულს,
მე რომ ვეცემ თაყვანს
სახელს ვსდებ დიად
რევოლიუციად.
მხოლოდ მის გამო
და მასზე ვდარდობ,
და მას ერთად ერთს
ველი ნიადაგ,
მას მოვუწოდებ.
ჩვენი პლანეტა
არის უხეში—
მას ვერ გაათბობს და ვერც გაადნობს
თუნდ მზე ათასი.
აი, ამიტომ ავადმყოფ სულით,
პოეტის სულით
გამოვეთხოვე
რომ აქ ვიოხრო
ავტეხო შფოთი
ვსვა და ვიჩხუბო.
მაგრამ დადგება
დრო, დედაჩემო!
მალე დადგება ის სანატრელი!
მაშ ამაოდ ხომ
არ მეულხედით მძიმე თვალის
ზოგი ზარბაზნებს
და ზოგიც კალამს.
აწ რუდარ გინდა
წყლებზე ფიქრი
ყველა ივიწყეთ.
რა ზარალს მოგცემს.
განა ეს შენ ხარ, განა ეს შენ ხარ?
და ბოლოს მე ხომ
ფერია არა ვარ
ან ცხენი, ვირი
მუდამ თავლიდან
გამომიყვანოთ.
თეთრონ გავშოვალ
რის დრო დადგება.
დაბრუნებისას
გიყიდი კაბას,
თავზე მოსახვევს
და მამაჩემსაც
ფეხის ტილოებს
ხოლო მანამდე
მძაფრი გრიგალი
არ მიყუჩდება
თითქოს სახიზღარ
დიაკვნებივით
ზარით მოსთქვამდეს
ეს ქარიშხალი.
თოვლიც ძირს ცვივა
უზალთუნებად
და კუბოს გვერდით
არავინ მოსჩანს
არცა მეუღლე.
არც მეგობარი.

თარგმანი სანდრო შანშიაშვილის.

# იუმორისტული განყოფილება

## საახალწლო მილოცვების მაგიერ

მე, როგორც მეკვლე, მოვდივარ
და თქვენც გამიღეთ კარები,
თუ ცუდი რამე მოგიძღვნით,
მე ვერას დაგეხმარები.
სულ სხვა მაქვს დანიშნულება,
სხვა დავალება ხანისა,
და რა ვქნა? დარდიც არა მაქვს
მე თქვენი თავის ფხანისა...
ვარიგებ უხვად მილოცვებს
ამ საახალწლო გობითა
და ვაი, ვინც არ შემხვდება
წინ უტყუარის ცნობითა!..
მომბეზრდა ცენტრზე ლაყბობა,
გულის და ყურის დამღონი,
სულ ერთი არის, ნათქმის ხომ
მაინც არ არის გამგონი!
გაზორილებულს პირებზე
არა ღირს კბილის მოცვეთა,
„მეცამეტობის" კანონით
შეგრაცხვენ მესამოცეთა!..
დავუქვეთ ისევ წვრილ-წვრილ ხალხს
აქვე, თუ პროვინციაში,
და მოუთავსოთ ცოდვები
ნამსახურობით სიაში!..
პირველად მოვიხსენიოთ
მუშკორი ესა, თუ ისა,
ამ მოუხვენარ ხალხს, ვფიქრობ,
უნდა სწავლება ქკუისა!
სწერენ და სწერენ ხელმოწერით,
არ ეპარებათ ბეწვიცა,
უთუოსა და მართალთან,
ხან აწერინებთ ეშვიცა!..
თუმც ეშვიც მეტწილ მართლდება,
მაგრამ მხამს საქმეს რიდება:
არ ღირს, თქვენ კაი კაცებო,
წვრილმანის გამოკიდება!..
განა, მსხვილმანი ცოტაა,
თუ წერის გტანჯავთ ბაცილა?!.
აამოძრავეთ კალმები,
გწყალობდესთ „წმინდა ბასილა"!.

---

აი, მუშკორმა წითელმა
ადლო ვიღაც უტკინი
და არ მოეშვა მანამდის,
სანამ ხუთჯერ არ უკბინა
კაცო! რა საკადრისია
აღარ გეტკინა კბილები?
მაგრამ, სჩანს, მას ბნელი უყვარს,
შენც კბენა გეადვილება.

---

აი, აქ კიდევ მუშკორი ას-ლი,
დედანთან სწორი არის ეს ცნობა,
ახასიათებს, თუ ჯოჯოხეთში
ულლათ კამეჩი როგორ იხრჩობა!..
კამეჩი ურმით ჩამხრჩვალა ლაფში,
მაგრამ მეურმეც რომ ჩაძირულა?!.
ვაი, თუ მუშკორს ეს არ უნახავს,
და მე კი ვუსმენ ასე ცირულად!..

---

ზალი, თეატრის ზალაზე რომ სწერს,
ქუთაისიდან გვაწვდენს აგერ ხმას,
ჩასციებია და არ ეშვება
ის მასწავლებელ ჩვენთვის უცნობ ქალს.
ტუჩების კრასკვა ქალთა საქმეა,
მას რა ბრალი აქვს მერე ამაში?
კრასკაში უფრო შეგშურდათ ის, თუ,
სთქვით, შოკოლადის მაშით ჭამაში?!.

---

ეს კომუნარიც, მასთან სტუდენტი,
მუშკორობაში არის გართული,
მას არშიყობა, სჩანს, სძულს და, ნაცვლად,
მეცნიერება უყვარს, ქართული!..

---

კიდევ და ისევ მუშკორი ასლ-ლი!
ქართველთ მწერლები, იცის, გვყოლია,
და სწუხს, მონჭაძე რა დავითია,
ან „ლუნაჩარ" რა ანატოლია,
რომ ქუჩებისთვის დაურქმევიათ?
ეს ალმასკოში რამ გადარია?
მწერალთა სახელ-გვარებს ვერ არჩევს,
და, ვით დომხალი, ისე არია?!.

---

ახლა გლეხკორთაც მივულოცინებ,
თემ-ალმასკომი თუ შემეწია,
თორემ გლეხკორებს ბევრი უბლევრის,
სოფლებში ჯერ კვლავ ბევრი მხეცია.
მე მათი გულის მოხაგებელით
არ მინდა გლეხკორთ ცუდათ შეხება,
მხოლოთ მით ლექსი მსურს გამივრძელდეს,
რადგან ვონონარს საქმე ეხება!.

---

მიხეილ მჭედლიშვილს ნუკრიანიდან
ხაყურადღებო მოაქვს ამბავი,
გულის სიღრმემდე აღშფოთებულა,
რომ „კულაკებმა" წამოყვეს თავი!..
მაგრამ ყველა თავს ქკუა ხომ არ აქვს,
მისი აწევაც ზოგჯერ მცდარია,
ამაჲ ყვინჩილას ქორი წაიღებს,
მხგავს ყვინჩილს ასს ხჯობს ერთი ვარია!..

---

ეს შააბრამანი რამ გადარია,
ვიღაც ჯამბაზზე კალამს რომ აცდენს?
ჯამბაზი სოფელს თუ გაეპარა,
შთამეჭდილებას ხომ მითაც აჩდენს!..

---

ან ლიბიხუთელი გლეხკორი—დამსწრე
რაებს სთხზავს ექიმ ბარამიძეზე?
თუ ის ხალხს თვალში მართლაც აფურთხებს,
რა ებას სწორეთ ექიმის წესზე:
რადგან თვით ქრისტე თვალში შთაბერვით
მკურნავდა ბრმებს, ვით ზეცით ნაკურთხი!
მაშ, რაზედ გიკვირს, თუ ბარამიძე
მკურნალს ხალხს, ბერვის ნაცვლად, ნაფურთხით?!.

---

მაუწრებელი გვწერს უხუთიდან,
ალმასკომია უვარგისიო:
არც თავმჯდომარე რამე აკეთებს
და არც მდივანი ვარგა მისიო.
რაც ქუთაისში სახლი აიგო,
თითოჯერ ვხედავთ აქ მას მას აქეთ...
— სჩანს, „ეგ სოფელი მას სოფლად უნდა
და ქუთაისი კიდევ ქალაქათ"!..

---

აგი ლომსაძე ამ ბორჯომიდან
სწერს რიხით, როგორც ინგლისის ლორდი!
ექვსის კუბიკურ საჟენამდე თუა
დამზადებული გზის გამსწვრივ „დორდი",
მაშინ გაზი არ თუ იკეტებოდეს,
უნდა დამქროლდეს იმაზე „ფორდი"!..

---

ყველა თუ უბღვერს მუშკორს და გლეხკორს,
მე ზოგჯერ მაინც გავეხუმრები
სხვებს არ ვაწუხებ ამ საახალწლოდ,
შემდეგ და სხვა დროს მათ ვესტუმრები.

---

ახლა გაზეთებს და რედაქციებს
მინდა მივმართო, როგორც წესია,
ისინი მუშა ხალხის დაცვაში
ერთი მეორის უკეთესია

---

გაზეთ „კომუნისტს", როგორც „კომანდ-პრეს"-ს,
ვუსურვებ, ეპყრას მუდამ მწვერვალი,
სწყალობდეს იმას მაღლი ოქტომბრის
და ზედ მეექვსე წლის თებერვალი!..

---

გაზეთი „მუშა"-ც ბრძოლის რიგშია,
ურტყამს და ურტყამს თავში მტერს, ტიელს,
კილოთი ისიც „კომანდ-პრეს"-სა შგავს
და სათაურით წითელ არმიელს!..

---

„წითელ არმიელ"-ს კი რა ვუსურვო?
დაჭერილი აქვს ყველა ფორტები,
მთავარი ფრონტის მუდამ მიმლოდეს
აქვს გამარათული ცოდნის ფრონტები!..

---

მე „ახალგაზრდა კომუნისტ"-ს ვუთვლი:
„გზედავ, სეხნიის იქნები „თექი":
ურჩებს აწვიმე ბრძოლის ისრები,
„მამას" მეტოქეთ გამოადექი"!..

---

ბოლოს ტკბილეულს, რაც გობზე დამრჩა,
მე გადავხანსლავ, როგორც ნიანგი,
ბოლიში დიდი ყველას წინაშე,
რომ დარბაზობა დამიგვიანდა!..

ნიანგი.

# „ხი სოული, ბატა"?!

ანუ
პატარა რეცენზია დიდ პრეტენზიებზე",
არის სიმღერა სამეგრელოსი
და ის სიმღერა მოსალხენია,
მჯლავს „ფუტურიზმი საქართველოსი",
რადგან ის მეტად მოსაწყენია!..
მოსაწყენია!.. ეს არაფერია!
მაგრამ ვერ ვუძლებ ამ „პრეტენზიებს"...
რათა არ ეცვლება, ვსთქვათ, ამ ხალხს ფერი,
სადაც რომ არ სიეს, იქ რომ ეძიებს?!.
მიებაც ოუბდა ქელაც არაფერი!..
მარამ ტიტინმა აიკლო ყური...
მე ასერ ყურში მივისვე ცერი,
არამც მესმოდა, მესრის,—მათიბერია!..
მათი ძათუა მათემა ტიკრი,
მაგრამ „ქიმიამ" მოსწყვიტა ფელი!..
სიმონ ჩიქოვან სწუხს პოეტიკით:



გული ეტკინა, გაუშვით ხელი!..
ჩიკოლოს ვინმე იყვეს ჩარგა,
გიცა „გაალღვობს" ეგ გოგოებს?!.
სამეგრელოში ბევრი ბაჩაა,
მაგრამ არც ერთი არ ჰგავს გიჩას!..
ტურები ხშირად ძარცვებენ ჩხავილს,
თუმცა „ჯეჯილებს" კურდღლები ჭამსოვს
ვინ ჩაიმოგვარიმეგს ხილად მწიფელ ყვავილს?



ან კიდე, თუ ჰყარს, ვინ გადაფურცლავს?!.
მე ბესო ჟღენტის ენის ხახუნი
გულში დამივლის როგორც რომ შკურკა!

არ დაედება ამ ყმაწვილს წუნი,



ურიგო თავიც ეგ ტიცინის კურკა!
კურკა კურკაა, მაგრამ, ვსთქვათ, „კირკათ"
ამ ქვეყნად იმას ვინ იხმარებდა?
იმათ შესახებ ეს სიტყვების „სტირკა",
და რომ აშრობდენ, მე მამათ ჭარებდა...
მოჭიარებაც უნდა იყვეს ქართულად,
რადგან ეროვნულს ჭეშის რასაკიმაზა..
ესმის, იტყვიან ულალმართულად,
არა და, ცემით გაგასიებენ!..
გაგასიებენ, ეს არაფერი,
მაგრამ თუ ესმენ გაიგუდება,
ენა ჭგონიათ ლომის ლაფერი
პირში ადვილად თუ მობრუნდება..
მობრუნდეს ან კი ვის ენაღვლება?
ამ დროსაც უნდა სარაკუნები!
და შვენის ძელზე არა-ნაკლებათ
ეს ახლ ალთქმის „ავვაკუმები"!..
და იტყვის ბენო გორდეზიანი




რომ აი, შესო „აშ—ეს—ო—მ"—„დადა",
და მისი წერაც, არ—აზრიანი,
თუ ვისმე იღებს, ისეც მათ ყბადა!..
მე მართობს ეანგო ლოლობერიძე
და მას დაესვამ კითხვას, მხიარულს:



შენ გული გტკივა? მერე? ჩაგიძვრეს?
რომ ეურიდები მეც შენ სიარულს?!
მომწონს აკაკი ბელიაშვილი,
რომ ზის „დროულში", როგორც ნიანგი,
ვარ იმის გამო ნერვებ—აშლილი,



რომ გზას, საჩემოს, იმან მიაგნო!..
მასთან, ბიძინა აბულაძეს დიდათ ვაფასებ,
რომ არის კაცი, გაბედული და პირდაპირი,



ვიცი ლირიკას ის ნაფურთხით თვისით, აავსებს,
რა ველარ გასჭრის, ხელში რომ აქვს, ის ბირდაბირი!..
და მაშინ... მაშინ პოეტიკის წითელ მდელოზე
გამოსაჩენი არ დარჩება არც ერთი გმირი,
მაიაკოვსკით გადირბენენ საქართველოზე:



„მერანი—ბდღვირი", „ხარიკირი" და „ბირდაბირი"..

ერთიც "შენიშვნა: რადგან კანონში არავინ დასწერდა,
„უშენიშვნოდ" რომ მიიღებდეს მას ქვეყნის პირი,
მე „ბდღვირის" ნაცვლად, სიტყვა „ცხრი" აქ მომაცქერდა,
ასოთ-ამწყობმა კი შეცდომით ააწყო „ბდღვირი"!..

ნიანგი.

# მამის მსჯავრი

(არაკი)

მცირე აზიის ერთ სოფლად
ცხოვრობდა მირზა, თათარი,
სიბრძნის ფურცლებით ნაკვეთი
ჰქონდა ცხოვრების დავთარი.
იცოდა სიტყვა, უკმეხი,
და იმდენადვე მართალი,
სწორი და მიუდგომელი,
ვით დანით ჩამოსათალი!
სამი ძე ჰყავდა და ორის
ის იყო მადლიერადა,
მხოლოთ უმცროს ძის ყოფას კი
უმზერდა ალმაცერადა.
და არა მარტო უმზერდა,
სიტყვითაც ჰკბენდა მკაცრადა:
„ალი, შენ სახელ ბევრს სჯობნი,
მაგრამ არ ვარგხარ კაცადა"!..
მოსწყინდა ალის მამისგან
ამდენი შეურაცყოფა,
მოუნდა სხვა ქვეყნის ნახვა
და იქ სხვა დგომა, სხვა ყოფა.
და ერთს დღეს გზასაც გაუდგა,
მიდის, მიათრევს გარგანსა,
და აკვირდება სხვა და სხვა
მოვლენასა, თუ საგანსა...
ენდო რა სოფლის სიუხვეს,
მიდის წინ სვენებ-სვენებით,
მდიდრდება ხერხით და ცოდნით
და მათი გამოყენებით...
და ერთ ადგილას, ერთ მხარეს,
ნახა, გასცლოდა მპყრობელი,
მას მოეპამა თვისი დრო
და მოკლე წუთისოფელი;
მაჰმადის საიქიოსკენ
იმ ფაშას წასვლა ესურნა
და ხალხს ტანთ თავლხი ჩაეცვა,
თვალთ ცრემლი ჩამოეწურნა...
გლოვით და ვაი-ვიშითა
ნეშტი საფლავში ჩაეშვა,
და ახალ ფაშას ეძებდა,
იმ ძველზე გლოვით რა ეშვა.
ეძებდა ახალს ფაშას და
თანაც დაედო პირობა:
უნდა ეჩინა საფაშეს
ჯერ შესაფერი გმირობა,
რომ მისი არჩევანისათვის
ხალხსაც დაედო დასტური,
რომ, ვით მზეს, მას შეჰყურებდეს
მხარე, ასთვალი, ას ყური!
ქვეყანას მტერიც აუტყდა:
გაჩნდა გმირთათვის სამკალი,
თუმც აქ მკლავი და ხმალი სჭრის
და არ უბრალო ნამგალი!
მაგრამ მოხდება:—წესები
ომს და შფოთს არ აქვს მტკიცენი,
აქ ხშირად ბრმა ბედი მეფობს
და ტლანქი სიუგვიცენი...
სიტლანქე, გამბედაობა
კი ილარ აკლდა ალიას,
სიხარბით და უმაძღრობით
სჯობდა ზღვასა და კალიას.

და მებრძოლთ შორის გაეთქვა,
რაღაც ბრმა ბედით, სახელი:
არც მტერი, არ თვისიანი
არ დუარჩა ჩაუღალავრელი!..
ხალხმაც არ აცივ-აცხელა
და ფაშად დასვა ალია,
ბრმა ბედი თუ ასე სწყალობს,
ეს რა იმისი ბრალია?!.
შეუდგა ქვეყნის მართვასა
მტკიცე და დაუღალავი,
არ დარჩენია ორგული
წელში ცხრად მოუღრკალავი!..
ხალხიც გრძნობს მართვის ამ ძალას,
გრძნობს და სცნობს უღყევ წესადა.
თუმც გულში კიდეც სწყევლის მას
გადაქცეული კვნესადა!..
ფაშაც სჭექს და შორს, შორს ისმის
მისი სახელის ქუხილი...
ზევით ტახტი აქვს განცხრომის,
ქვეშ ბუღრჯათ—ხალხის წუხილი!..
და ერთ დღეს თავის ამალით
ინება დავლა ქალაქის,
რომ თვალით ნახოს აქ ყოფა
მქედლის, მეწვლის, დალაქის...
ვაჭრის და ნოქრის ცხოვრებას,
თუ რა კავშირი უბდება,
თუ ვინ ვის უთხრის სამარეს
და ვინ ვის ზურგზე სუქდება....
თვით ეტლით მიდის, სხვები კი:
ვინ—ცხენით და ვინ—ქვევითად,
მიდის სწორ ქუჩით, ვიწრობით,
მისახვევ-მოსახვევითაც..
და ერთგან ნახა, მოედნად
მობაზრე ხალხი ჭრელადა
ვაჭრულის აყაყანებით
ფუსფუსებს ჭიანჭველადა...
და ფაშის თვალი უეცრად
დაესო ერთ წერტილადა,
სადაც სცნობს მოვაჭრეთ ერთ ჯგუფს
მამათ და მის ორ შვილადა...
ცხენებით მოხსნილს საპალნეს,
ალბათ, მოტანილს შორითა,
თავს ადლით დასტრიალებენ
საწყავით და სასწორითა...
და შვილის გული ფაშაში
ატოკდა არა—ტკბილადა:
მამას დღეს გვერდს არ ვუშვებენ,
არც სახლში მცნობდა შვილადა;
შეურაცყოფით მავსებდა,
ძმებს რომ ეტკბოდა თაფლადა,
მაგრამ აწ უნდა ვაჩვენო,
თუ ვინ სდგას ვის წინ მდაბლადა.
ჩემი ფაშობის ამბავი,
ალბათ, არც ეცოდინება!..
და თვისკენ თავის ვეზირის
მან გადმოხმობა ინება,
უბრძანა: „ხედავ იმ მოხუცს
ორის ჯეელი ვაჟითა?
მიხვალ და ჯერე დაბეგრავ
მათ უდიერო ბაჟითა!
და როცა გაგიძალდება
გადახდის უარყოფითა,
სამნივე ცემით მორეკე
ჩემს წინ გაკრულნი თოკითა!
უთხარი: თქვენზე ფაშათქვა
ბრის გამწყრალი მკაცრადა!..
გულში კი ჰფიქრობს: „სცნოს მამამ
ვარგვარ, თუ არა კაცადა“..

მყის სასახლისკენ წავიდა:
ქმაყოფილია უზომოდ
ბედით და თავისთავითა!..
ზის ტახტზე ფეხებ მორთხმული
და სწევს ყალიონს მორჭმითა
და ჩუ! ტყვეებსაც მორეკენ
ზურგში რტყმითა და მოთქმითა...
და შემოასხეს დარბაზში
სამნივე სწრაფი დენითა;
ნახეს: ზის ფაშა, მორჭმული,
სახეზე ცხადი ლხენითა!..
ზის ფარჩა-აბრეშუმებში
ხორკლიან ბაყაყივითა
და პირში არ სწყვეტს ყალიონს,
თითქოს ბოლი სდის თივითა...
მოხუცმა აჰხედ-დაჰხედა,
სთქვა: ვინ ფაშაა? რომელი?
და ჰხედავს: ვაჟი, უმცროსი,
მისი, იმ ტახტზე მჯდომელი!..
ფაშამაც კოჭა შეიკრა,
მოხუცს მრისხანედ გაჰხედა,
ძლივს ახსნა კბილი ყალიონს
და შეეკითხა მკვახედა:
„ბებერო! მიცან, თუ ვერა?
ვარგვარ, თუ არა, კაცადა?!“.
ზარდაცემული მირზა სდგას
და სახე უჩანს ნაცრადა.
დიდხანს ხმაც კი ვერ გაეცა,
რადგან მწარ ფიქრებს ჰმონებდა,
არ სწამდა ბედი თუ მისთვის
ამ საჯელს მოიგონებდა!..
და სევდის ღრუბლებ-დაყრილი
ჭაღარა ქედი აჰხარ...
და ფაშას, კითხვის პასუხად,
უკმეხად პირში ახალა:
„მე ის არ მითქვამს, რომ ალი
ვერ ივარგებს-თქვა ფაშადა,
თუმც მაგ ხას აბრეშუმებში
შენ მაინც სჩანხარ ჩხაშადა.
რაც მითქვამს, მას კი კვლავაც გეტყვი
და კიდევ უფრო მკაცრადა:
ფაშად, ვსთქვათ, კიდეც ფაშობდე,
მაინც არ ვარგხარ კაცადა!“.
უთხრა და თავი მოხუცმა
ისევ ჩაჰკიდა მძიმეთა,
და აჩნდა წყვილი ალმასი
სახეზე მოციმციმეთა!..

Ნ. ზომლეთელი.

---

# მიბაძვა ხალხურისა

ბურთუამ სთქვა: მტკიცედ ვზივარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო;
შევიხედე სერზედაო,
იქ მუშა ზის ცხენზედაო.

გადმომხედა დაცინვითა,
თვალი ჩამკრა გვერდზედაო,
მე რომ კეტით მემუქროდა,
მუშტს იცემდა მკერდზედაო.

მუშის უკან გლეხი იდგა
ნამგალითა მხარზედაო
და შორიდან მომიქნია,
დამაყენა დარდზედაო.

მერე ხზვებსაც დაუძახა,

და ხულ ერთად მომესივნენ,
დავდექ ნაცრის ფერზედაო.

თვალი მოვკარ წითელ დროშას,
გლეხს ეჭირა ხელშიაო,
ზედ ეწერა: „პროლეტარებს
გაუმარჯოს ჩვენშიაო“!

ბურჟუებო! დაიხოცეთ!
შურით გასკდით გულზედაო!
გაუმარჯოს, გლეხს და მუშას
დედამიწის ზურგზედაო!

მაი.

—:—

# კუდა-კუდა არაკები

სადღაც რომელღამაც მწერალმა, მგონი მეტერლინკმა დუმილს მიანიჭა დიდი რაღაც ჯადოსნურ-სიმბოლიური მნიშვნელობა. კადნიერებათ ნუ ჩამითვლით და მე დუმილი ჩექმის გაცვეთილ ლანჩადაც არ მიმაჩნია.

თუმცა მაგონდება ერთი ხალხური ანეკდოტი:

ვიღაც მოსულელო ახალგაზრდა თურმე ხასიძოთ მიიყვანეს ერთ ოჯახში. მიმყვანლებმა ბიჭი წინასწარ დაარიგეს რათა მას შავისაგან თეთრი არაფერი წამოსცდენოდა რადგან ლაპარაკში ადვილად გამომჟღავნდებოდა მისი „ხიაბდლე“, რაც გურულად სისულელეს ნიშნავს.

დიდხანს ეს ბიჭი ჩუმად იჯდა. ლაპარაკში არ ერეოდა და, რა თქმა უნდა, ჭკუა-დამჯდარისა და გონიერი კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე, ვინც მას არ იცნობდა.

მაგრამ აი, დადგა საბედისწერო წამი: შერიდგან სახლის პატრონის ვეება ხვადი კატი მოყვებოდა დიდი ხის კიბეს. სულელი აბა რის სულელი იქნებოდა, რომ არ წარმოედგინა, რომ კატა კიბიდან ჩამოვარდება და დაიმტვრევაო. ვერ გაუძლო მოწოლილ გრძნობას და წამოიძახა: „თუ რამე სთქვი, აბდალი ხარ და სულელიო, არა და, აი, იმტვრევა აგერ ხამოც მანეთიანი კატაო“. სხვათაშორის ზოგჯერ სულელის აზრებშიაც მოიპოვება რაიმე გონიერების ნასახი. სამოც მანეთიანადაც იმიტომ მონათლა ამ ბრიყვმა კატა რომ ეგონა, ამითი პატრონს ვასიამოვნებო, მაგრამ თავისი სისულელე კი ვეღარ დაფარა და ასე მოულოდნელად გამოაშკარავა.

ფუნებური დუმილი, როგორც ხედავთ, ბრიყვებისათვისაც კი აუტანელია, მაგრამ არც თუ უსაფუძვლო და ბრიყვული ლაყლაყი ვარგა. სიმართლის თავის დროზე თქმას დიდი ღირსება აქვს, მაგრამ სამოც მანეთიანი კატა არა და ბარემ სამოც თუმნიანი არაბული ცხენიც შეკაზმული მზად უნდა გვქონდეს, რათა სიმართლის თქმით გამოწვეული გაჭირვების დროზე მოახტე და გაბარათაშვილდე...

ვინ კრძალავს სიმართლის თქმას? არავინ! ყველას უხარია მისი მოსმენა, მაგრამ, გარდა მთქმელისა რა თქმა უნდა, რადგან... სიმართლე ყოველთვის სიპრუდეზე უფრო ძვირად ღირს, ის ყოველთვის მეტს ხარჯს მოითხოვს და ამ ხარჯსაც იწვევს, პირველყოვლისა, თვით მთქმელი.

ეს დებულება განმარტებას არ საჭიროებს. ვისაც კი ჰქონია ცხოვრებაში სიმართლის თქმის შემთხვევა, მას ალბათ, ბევრი უნახია არაბული ცხენის უქონლობაც.

მაგრამ ნათქვამია: „ვინც გააჩინა თხაო, მანვე მოუკაკუჭა რქაო“. ეს დებულებაც არ ითხოვს განმარტებას, მათთვის მაინც, ვისაც უნახავს მოჭიდავე ვაცი; იგივე ითქმის მოჭიდავე ვერძებზედაც, თუ რა თქმა უნდა, ცხვრებს ნათესაობითი კავშირში დავტოვებთ თხებთან.

მოკაკუჭებული რქები ძალიან შველიან თვით მოჭიდავეთ რქებით დაძგერების შედეგათ მოსალოდნელ პასუხისგების აცილებაში და აგრეთვე იფარავენ დაჭიდების ობიექტს რქებით მოსალოდნელ ხიფათისაგან.

ასე ორმხრივ სასარგებლოა მოკაკუჭებული რქა.

მოკაკუჭებულ რქას შეგვიძლია მივამსგავსოთ ეგრედწოდებული იგავ-არაკი და საზოგადოთ ყოველგვარი ქარაგმა სიტყვა რადგან ქარაგმა სიტყვა თავისი მოქნილობით ასე ვსთქვათ, „არც მწვადსა სწვავს და არც შამფურს“.

შამფურს ვერ დასწვავს იმ შემთხვევაში, თუ თითონ გახურებულ რკინის შამფურს წარმოადგენს, ან საერთოდ წვერ-მახვილს იარაღს. ხოლო მწვადის დაწვის საკითხი რამდენიმეთ თვითონ სამწვადისაგანაც არის დამოკიდებული ენებოს, დაიწვას, ენებოს, ისევ უმად დარჩეს.

ჩვენი ქვეყანა, განსაკუთრებით—ქალაქი თბილისი—საზოგადოთ მწვადების ქვეყანაა. სამწვადეც რა თქმა უნდა ბლომათ მოიპოვება, როგორც საზოგადოთ ყოველივე ნედლი მასალა—ნაკლებათ ინდუსტრიალურს ქვეყანაში.

რაც შეეხება შამფურს, არ ვიცი, რამდენათ არის ამ იარაღის დამზადება გათვალისწინებული, „გოსპლანის“ მიერ და რამდენათ ...რულებს ამას ეგრედწოდებული სმუსი.

ყოველ შემთხვევაში, სანამ ჯერ კერძო ინიციატივას კიდევ აქვს ეგრედწოდებული „ფართო გასაქანი“, ცხადია შამფურების გამჭედლებიც იჩენენ თავს, რასაც თავის-თავად იწვევს ბაზრის ხაფართოვე.

მაგრამ ეს ჩვენი შესავალიც მიდის უკვე თავის ბოლომდე და, რაც მთავარია, ის კი ჯერ უთქმელი გვრჩება.

მთავარი კი აი, რა არის?

დღეიდან ჩვენ შემოგვაქვს ჩვენს ჟურნალში განყოფილება, რომელშიც სიტყვით იგივ-არაკის სახედ, თუ ხაზებით-კარიკატურად, მოყვანილი გვექნება მთელი რიგი მახალებისა, რა თქმა უნდა „ნედლი მახალებისა“, თავის-თავად ცხადია, გადასამუშავებლად, ე. ი., მისგან მზა დამუშავებული საქონლის მისაღებათ.

ყოველი ქარხნის ნაწარმოები ატარებს შესაფერის მარკას. ჩვენს პრაქტიკაში ადგილი ექნება ორს სხვა და სხვა მარკას, რომელთა შერჩევაც ყოველს ახალს შემთხვევაში შეფარდებული იქნება დროსა და გარემოებასთან. ე. ი., შერჩეული იქნება შამფურობა, თუ მოკაკუჭებული რქის ხმარების მომენტები.

ამ შემთხვევაში ჩვენ ანგარიშს სრულიად არ გავუწევთ ჩვენს მოწინააღმდეგეს, არამედ გამომდინარე ჩვენი საკუთარი პირადი ინტერესებისაგან, სადაც ნაკლები ხიფათია მოსალოდნელი, იქ პირდაპირ ვიხმართ შამფურს, ხოლო სადაც მორიდებაა საჭირო იქ მოკაკუჭებული რქებითაც იოლად გამოვალთ.

ჯერ-ჯერობით ორივე მარკის ...ნიმუშად აქვე მოთავსებით ვათავებთ საქმეს და მომავალში ...ით მ...ხედ ბაზრისათვის შესაფერი სანოვაგის მიწოდებასაც. მკითხველსაც შეუძლია შამფუ-



რზე აგებულის პირდაპირ მირთმევა მზა-მზარეული საჭმლის სახით,



ხოლო მოკაკუჭებულ იქებ-დაბინზნებულნი კი შეუძლიანთ იხმარონ კონსერვის ადგილას ისე, უშამფუროთ და უმათ.

(არაკები შემდეგ)

მოიგავ-არაკი.

## „ზეროშ“—წეროს!..

გაჩნდა ამ ქვეყნად „ზერო“,
არ ვიცი, როგორ ვზვერო;
სადა აქვს ბინა, ჩერო,—
ვკრა ხელი, შევაჩერო!..
„ზერო“! ნუ ზვერავ წეროს,
სდგეხარ შამფურით ხელში,
ფრენა რომ შეაჩეროს,
შენ ჩაგივარდეს ხელში?!.
ერთი ფრთა მოსწყდეს წეროს,
„ზერომ“ ჩაიტკბოს ხახა!..
უნდა, რომ რაღაც სწეროს,
სწოეეია ჩმახვის ზრახვა,
რომ გაალაღოს ვიღაც...
ვინ არის მისი ჩიტი?
მგონი, აქ არის, იქაც,
მხოლოთ ვერ იშლის ღიტინს...
სჩმახა!.. თავს ემე უყო:
ჭკუის წინაშე სცოდა!
თესლი ვერ გამოუღო,
შერჩა უაზრო ბოდვა!..
სირცხვილმა დასწვა „ზერო“,
მიზანი გაეყიდა:
ვერ დაიჭირა წერო
და თოკით დაეკიდა!..

წერო...

# „დროშის“ ფოტო--კრონიკა



მ ა რ ც ხ ნ ი ვ: ამხ. სარქისოვი, მელნიჩანსკი, ანდრეევი, დოგადოვი, მილიუტინი, ტომსკი, უგაროვი, შმიტი და გლებოვ-ავილოვ.



კავკასიის წითელდროშოვან არმიის ახალი სარდალი ამხ. ლევანდოვსკი



ქემალ ფაშა'ს ძეგლი



რიკოვის უკანასკნელი პორტრეტი



მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ: ამხ. ტროცკი, სერებრიაკოვი, კალინინი და პრეობრაჟენსკი.



ამხ. ბოგოლიუბოვი, საბჭ. კავ. მოჭადრაკეთა ჩემპიონი

# დეკაბრისტების აჯანყება

## 1825 — 1925



რილეევი კ. თ.



პესტელი პ. ი.



დასჯილი დეკაბრისტები

1825 წლის 14 დეკემბერს ქ. პეტერბურგში მოხდა დიდი სამხედრო აჯანყება, რომელსაც მიზნად ჰქონდა რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობა და კონსტიტუციური წყობილების შემოღება.

აჯანყების საბაბი გახდა შემდეგი გარემოება: 1825 წლის 19 ნოემბერს ქ. ტაგანროგში უეცრად გარდაიცვალა რუსეთის მეფე ალექსანდრე პირველი. მეფედ გამოცხადდა ვარშავაში მყოფი კანონიერი მემკვიდრე კონსტანტინე პავლეს ძე. რამდენიმე დღის შემდეგ გამოირკვა, რომ კონსტანტინე ტახტზე უარს ამბობს და ჯარს წინადადება მიეცა მეფის ნიკოლოზ პავლეს ძის ერთგულებაზე ფიცი მიეღო.

ვინაიდან, როგორც მეფის ალექსანდრე პირველის სიკვდილი, ისე მემკვიდრის კონსტანტინე პავლეს ძის მიერ ტახტზე ხელის აღება გაუგებრობითა და საიდუმლოებით იყო მოცული, ჩრდილოეთის ფარულმა სამხედრო რევოლიუციონურ ორგანიზაციამ გადასწყვიტა შექმნილი მდგომარეობით ესარგებლა და მეორე ჯერ ფიცის მიღების დღეს აჯანყების დროშა აეფრიალა.

პირველად აჯანყდა მოსკოვის პოლკი. აჯანყებულთა რიცხვი მალე 20.000-მდეავიდა.

პეტერბურგის აჯანყების იდეური მეთაური იყო ჩრდილოეთის ფარული საზოგადოების წევრი **რილეევი**, ხოლო აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელი იყო **ობოლენსკი**.

აჯანყება ნიკოლოზ პირველის მიერ დიდის სიმკაცრით იქნა ჩაქრობილი.

ასეთივე შედეგით დამთავრდა სამხრეთის ფარული საზოგადოების წევრის **ს. მურავიოვის** მეთაურობით დეკემბრის ბოლო რიცხვებში მომხდარი ჩერნიგოვის პოლკის აჯანყებაც.

დეკაბრისტების დამარცხებას ხელი შეუწყო როგორც მათ გაუბედაობამ და მერყეობამ, ისე პროვოკატორების უნტეროფიცრის **შერვუდის** და კაპიტანის **მაიბოროდას** გამცემლობამ.

დეკაბრისტების ხელმძღვანელნი და აჯანყების მთავარი მონაწილენი იყვნენ:

1. **რილეევი კ. თ.** ჩრდილოეთის ფარული საზოგადოების მეთაური.
2. **პესტელი პ. ი.** პოლკოვნიკი, სამხრეთის ფარული საზოგადოების ხელმძღვანელი.
3. **ობოლენსკი,** აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელი.
4. **მურავიოვი-აპოსტოლი ს. ი.** სამხრეთის საზოგადოების აქტიური წევრი და ჩერნიგოვის პოლკის აჯანყების მეთაური.
5. **კახოვსკი პ. გ.**
6. ძმები **ბესტუჟევები** და სხვა.

აჯანყების მთავარი ხელმძღვანელნი სიკვდილით დასჯილ იქნენ 1826 წლის 13 ივლისს პეტრე-პავლეს ციხეში.



დეკაბრისტები [illegible]



კახოვსკი პ. გ.



მურავიოვი-აპოსტოლი ს. ი.



[illegible]

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

მთავლ. № 25 ტირ. 20.000 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. № 68